ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის წინასწარი ანგარიში საქართველოს 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით

ოქტომბერი 27, 2024

შესავალი

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია წარმოადგენს საქართველოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასწარ ანგარიშს.

დელეგაცია შედგებოდა დამკვირვებლებისგან ათი ქვეყნიდან და მას ხელმძღვანელობდა ტომ მალინოვსკი, კონგრესის ყოფილი წევრი და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწე დემოკრატიის, ადამიანის უფლებების და შრომის მიმართულებით; პერ ეკლუნდი, ევროკავშირის დელეგაციის ყოფილი ხელმძღვანელი საქართველოში; და დოქტორი თამარა კოფმან ვიტესი, NDI-ის პრეზიდენტი. აღნიშნული ანგარიში ეფუძნება NDI-ს თებერვალში ჩატარებულ წინასაარჩევნო საერთაშორისო სადამკვირვებლო შეფასების მისიის მიგნებებსა და ექვსი თემატური გრძელვადიანი ანალიტიკოსის შეფასებას, რომლებმაც საქართველოში წინასაარჩევნო გარემოზე დაკვირვება ივლისში დაიწყეს. დაკვირვების პროცესში, NDI თანამშრომლობდა საერთაშორისო, რეგიონულ და სამოქალაქო საარჩევნო სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED) და საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI).

NDI-ის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის მიზანია საარჩევნო პროცესის სხვადასხვა ასპექტის ზუსტი და მიუკერძოებელი შეფასება და რეკომენდაციების გაცემა, რომელიც გამჭვირვალე, სანდო და ინკლუზიური არჩევნებისა და პროცესის მიმართ საზოგადოების ნდობის განმტკიცებას ემსახურება. ინსტიტუტმა სადამკვირვებლო მისია არჩევნების საერთაშორისო დაკვირვების პრინციპების შესახებ დეკლარაციის, საერთაშორისო საარჩევნო დამკვირვებლების ქცევის კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობის

შესაბამისად განახორციელა. NDI-ის მეთოდოლოგია არჩევნების შეფასებისას საარჩევნო პროცესის ყველა ასპექტს განიხილავს.

დელეგაცია აღნიშნავს, რომ მოცემული ანგარიში არის წინასწარი ხასიათის. ოფიციალური შედეგები ჯერ არ არის საბოლოო და არ არის მიღებული გადაწყვეტილებები არჩევნებთან დაკავშირებულ შესაძლო საჩივრებზე. NDI აღნიშნულ დავებს დააკვირდება და საბოლოო ანგარიშს გამოაქვეყნებს. დელეგაცია მიიჩნევს, რომ არჩევნების სანდოობასა და ლეგიტიმაციას, ასევე საქართველოს დემოკრატიის ტრაექტორიას საბოლოოდ საქართველოს მოსახლეობა განსაზღვრავს.

შეჯამება

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ამომრჩეველთა აქტივობამ, რომელიც აღემატებოდა წინა არჩევნების იმავე მაჩვენებელს, დემოკრატიული პროცესებისადმი საქართველოს მოსახლეობის ერთგულება წარმოაჩინა. აღნიშნული არჩევნები სრულად პროპორციული სისტემით პირველად ჩატარდა. ამასთანავე, საარჩევნო კოდექსში შეტანილმა ბევრმა შესწორებამ, ახალი ტექნოლოგიების პირველად გამოყენებასთან ერთად, არჩევნების ჩატარების პროცესში მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია. ცესკომ ამ ცვლილებების თაობაზე ამომრჩეველთა ინფორმირებისთვის მრავალმხრივი სამუშაო გასწია. ზოგადად, საარჩევნო უბნები სიმშვიდით და ორგანიზებულობით ხასიათდებოდა. თუმცა სამოქალაქო სადამკვირვებლო ორგანიზაციები, წინა არჩევნებთან შედარებით, სერიოზული დარღვევების მნიშვნელოვან ზრდას აღნიშნავდნენ, როგორიცაა ძალადობა, ამომრჩევლების დაშინება და ბიულეტენების ჩაყრის შემთხვევები.

აშკარაა, რომ წინასაარჩევნო პერიოდი არ პასუხობდა დემოკრატიული არჩევნების ფუნდამენტურ სტანდარტებს. მთავრობის მიერ ისეთი კანონის მიღებამ, რომელმაც სამოქალაქო ჯგუფებს უცხოური აგენტების იარლიყი მიაწება, და მმართველი პარტიისადმი კრიტიკულად განწყობილი აქტორების დაშინებისკენ მიმართულმა კამპანიამ, შიშზე დაფუძნებული წინასაარჩევნო გარემო შექმნა. ხელისუფლების მხრიდან სამოქალაქო ჯგუფების დისკრედიტაციამ და სამართლებრივი შეზღუდვის მცდელობებმა, სამოქალაქო ჯგუფებს უბიძგა, რომ საკუთარი რესურსები თავდაცვაზე მიემართა, ნაცვლად იმისა, რომ თავიანთი მთავარი საარჩევნო მისია შეესრულებინათ. მიღებულ კანონმდებლობას შემზღუდავი გავლენა ჰქონდა სხვადასხვა ჯგუფების ინტერესების დამცველებზე, სამოქალაქო განათლების მიმართულებით მომუშავე ადამიანებსა და სხვა ჯგუფებზე, რაც პოლიტიკურ დისკურსზე შესაბამისად აისახა. მმართველმა პარტიამ

ოპოზიციური პარტიების აკრძალვის შესახებაც გააჟღერა მუქარა. მთავრობის მიერ მიღებულმა კანონმდებლობამ ასევე შეზღუდა ლგბტქი+ თემის უფლებები და მათ სტიგმატიზაციას შეუწყო ხელი ადამიანის უფლებების რეგიონული და საერთაშორისო სტანდარტების საწინააღმდეგოდ, რომლის შესრულების ვალდებულებაც საქართველოს აქვს აღებული. მთავრობის ქმედებებმა ევროკავშირის მხრიდან საქართველოს გაწევრიანების პროცესის შეჩერება გამოიწვია.

ფრაგმენტირებულმა და პოლიტიზირებულმა მედიაგარემომ მიუკერძოებელ ინფორმაციაზე ამომრჩევლების წვდომა შეზღუდა. მმართველ პარტიას არაპროპორციულად დიდი გავლენა ჰქონდა როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო მედია საშუალებებზე, მისი კონტროლიდან გამომდინარე. ამ პირობებში, როგორც მმართველი პარტიის, ასევე ოპოზიციის მხარდაჭერმა არხებმა უარი განაცხადეს პოლიტიკური რეკლამების ეთერში გაშვებაზე. ამასთანავე, სატელევიზიო დებატებში საარჩევნო სუბიექტების მხოლოდ მცირე ნაწილმა მიიღო მონაწილეობა. დამოუკიდებელ მედია საშუალებებზე თავდასხმებმა და დაშინების მცდელობებმა დაბალანსებულ წინასაარჩევნო დისკურსსა და კამპანიის მნიშვნელოვანი საკითხების გაშუქებაზე საზოგადოების წვდომა დამატებით შეზღუდა.

წინასაარჩევნო გარემო აგრეთვე დააზიანა ამომრჩევლების, აქტივისტების, პოლიტიკური აქტორებისა და მათი ოჯახების წინააღმდეგ ფართომასშტაბიანმა დაშინებებმა, შევიწროებამ, და ზოგ შემთხვევაში ძალადობამ. ქალები განსაკუთრებით აღმოჩდნენ გენდერული ნიშნით მოტივირებული თავდასხმების სამიზნე. მიუკერძოებელი სამოქალაქო სადამკვირვებლო ორგანიზაციები, ისევე როგორც პოლიტიკური პარტიები და მედია აღნიშნავდნენ ღია ფორმით საჯარო სექტორში დასაქმებული ამომრჩევლის დაშინების მრავალ შემთხვევას, რაც მათი არჩევნებში მონაწილეობისთვის ხელის შეშლას ან მმართველი პარტიის მხარდაჭერას ემსახურებოდა.

არჩევნების დღეს, ჩვენი შეფასებების ფორმირებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ადგილობრივი სამოქალაქო სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიგნებებს. ადგილობრივი დამკვირვებლების თანახმად, არჩევნების დღეს საარჩევნო უბნების ნეიტრალურ ზონაში ბევრ დარღვევას ჰქონდა ადგილი, რაც მმართველი პარტიის წარმომადგენლებისა და გარეშე პირების ყოფნით იყო განპირობებული. ჩვენმა მოკლევადიანმა და ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა ამომრჩევლის დაშინების შემთხვევებიც დააფიქსირეს. მათი დაკვირვებით, ასევე, გაიზარდა კრიტიკული დარღვევების რიცხვი, მათ შორის

დამკვირვებლებზე, ამომრჩევლებსა და პარტიების წარმომადგენლებზე თავდასხმების შემთხვევები.

NDI ხაზს უსვამს, რომ მოცემული ანგარიში წინასწარი ხასიათისაა და არჩევნებთან დაკავშირებული მოვლენები კვლავაც განვითარების ფაზაშია. ხმების დაჯამების, საჩივრებისა და დავების განხილვის, ისევე როგორც, საპარლამენტო მანდატების განაწილების პროცესში, NDI მოუწოდებს ყველა პოლიტიკურ აქტორს პატივი სცეს არჩევნების გზით გამოხატულ ხალხის ნებას, გამოიჩინონ მოთმინება და თავშეკავება არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამების პროცესში. NDI ასევე მოუწოდებს შესაბამის ორგანოებს, გამოიძიონ საარჩევნო დარღვევები, გამოიძიონ დანაშაულებრივი ქმედებები და საარჩევნო დავები კანონის შესაბამისად გადაჭრან.

საქართველოს მოსახლეობამ მკაფიოდ გამოხატა, თუ რამდენად აფასებს ქვეყნის დემოკრატიულ გზას. პოლიტიკური აქტორები უნდა გასცდნენ "გამარჯვებულს მიაქვს ყველაფერი" მიდგომას და აიღონ პლურალიზმის უზრუნველყოფის ვალდებულება ქვეყნის დემოკრატიული გზის გასაგრძელებლად. საქართველოს მმართველ პარტიას ამ კუთხით განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება. მმართველმა პარტიამ უნდა უზრუნველყოს სახელმწიფოს ნეიტრალურობა და პოლიტიკურ ცხოვრებაში საქართველოს ყველა მოქალაქის თავისუფალი და თანაბარი ჩართულობა.

პოლიტიკური კონტექსტი

რთულ რეგიონში ერთ დროს დემოკრატიის შუქურად მიჩნეულმა საქართველომ დემოკრატიული პროგრესის გზაზე დრამატული უკუსვლა განიცადა. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემისა და პიროვნებებზე დაფუძნებული პოლიტიკის მემკვიდრეობამ პარტიებს შორის უნდობლობა გააჩინა, კოალიციის შექმნის მცდელობები ჩაშალა და ამომრჩეველი პოლიტიკურ პროცესებს ჩამოაშორა. NDI-ს თებერვალში ჩატარებული წინასაარჩევნო საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის შეფასების შემდეგ, მთავრობამ ქართული სამოქალაქო საზოგადოების უფლებებისა და თავისუფლებების შემზღუდავი კანონმდებლობა მიიღო, ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს აკრძალვით დაემუქრა და განახორციელა სხვა ქმედებები, რომელმაც ქვეყნის დემოკრატიისადმი ქართული ოცნების ერთგულებაზე სერიოზული კითხვები გააჩინა. ამ კუთხით, ქართულმა ოცნებამ, წინა მმართველი პარტიების მსგავსად, უმრავლესობით მმართველობა ბოროტად გამოიყენა.

NDI-ის საზოგადოებრივი აზრის კვლევების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 93 პროცენტი ფიქრობს, რომ დემოკრატია მნიშვნელოვანია. თუმცა, გამოკითხულთა ნახევარზე ნაკლებს - მხოლოდ 45 პროცენტს - სჯერა, რომ საქართველო დღეს დემოკრატიულია. ბოლო ერთი წლის განმავლობაში, სამოქალაქო საზოგადოებისა და დამოუკიდებელი მედიის მიმართ მზარდმა მტრულმა განწყობამ, ასევე ანტიამერიკულმა და ანტიევროკავშირის რიტორიკამ საქართველოსა და მის ტრადიციულ მოკავშირეებს შორის დასავლეთში ურთიერთობის გაუარესება გამოიწვია. საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი, რომელიც 2023 წლის დეკემბერში დაინიცირდა, ევროპულმა საბჭომ ათი თვის შემდეგ შეაჩერა.

არჩევნებამდე ექვსი თვით ადრე, საქართველოს პარლამენტმა პარტიულ სიებში სავალდებულო გენდერული კვოტირების სისტემა გააუქმა; მიიღო „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის სტიგმატიზაციას ეწევა და მათ საქმიანობას ზღუდავს; მიიღო ვრცელი საკანონმდებლო პაკეტი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“, რომელიც ზღუდავს ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი, ქვიარი და ინტერსექსუალი (ლგბტქი+) საქართველოს მოქალაქეების უფლებებს. მიუხედავად იმისა, რომ მაისში, კვირების განმავლობაში, ,,უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის გასაპროტესტებლად თბილისში ათასობით ადამიანი გამოვიდა, ანტი-გენდერულ კანონმდებლობაზე პასუხი შედარებით უფრო ჩუმი იყო.

არჩევნების წინ ასევე გაიზარდა უსაფრთხოების სამსახურების მობილიზება და შესაბამისი რეგულაციები გაფართოვდა. ,,უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის წინააღმდეგ დემონსტრანტების ძალადობრივ დაშლაზე შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებული სპეციალური ბიურო იყო პასუხისმგებელი და შესაბამისი ორი თანამშრომელი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ აღნიშნული ძალადობის გამო დასანქცირდა. მთავრობამ დემონსტრანტების მიმართ არაპროპორციული პასუხი სისხლის სამართლის კოდექსით გაამართლა, რომელიც კონკრეტული საჯარო შენობების წინ შეკრებას კრძალავს. არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე მსგავსი აკრძალვა ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობაზეც გავრცელდა. ასევე, არჩევნების წინა დღეს პრემიერ მინისტრი შინაგან საქმეთა სამინისტროს ეწვია და დასანქცირებული ფიზიკური პირები საჯაროდ შეაქო.

წინა არჩევნებზე დაფიქსირებული ,,გამარჯვებული იღებს ყველაფერს” მიდგომა 2024 წლის განმავლობაში გამწვავდა, როდესაც მმართველი და ოპოზიციური პარტიის ლიდერები ერთმანეთის წინააღმდეგ მტრულ რიტორიკას ატარებდნენ. მტრობა და

უნდობლობა კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც ქართული ოცნების ლიდერებმა, მათ შორის პარტიის დამფუძნებელმა და საპატიო თავმჯდომარემ ბიძინა ივანიშვილმა, მათი ისტორიული მეტოქის და ყოფილი მმართველი პარტიის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (ენმ) და სხვა ოპოზიციური პარტიების აკრძალვის შესახებ მუქარა გააჟღერეს. ქართული ოცნებისა და მთავრობის თანამდებობის პირებმა აღნიშნული რიტორიკა სამოქალაქო საზოგადოებაზეც, მათ შორის სამოქალაქო სადამკვირვებლო ორგანიზაციებზეც გაავრცელეს.

მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე დაყოფილმა ქართულმა ოპოზიციამ ერთმანეთთან უკეთესად ითანამშრომლა, მათ ვერ შეძლეს ერთიანი კოალიციური შეთანხმების მიღწევა და საბოლოოდ ოთხ დამოუკიდებელ გაერთიანებად ჩამოყალიბდნენ - ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა, კოალიცია ცვლილებებისთვის, ძლიერი საქართველო და გახარია საქართველოსთვის. პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი საქართველოს ევროპულ გზაზე დაბრუნების მოწოდებით წამყვანი აქტორი გახდა და ,,ქართული ქარტია" დააფუძნა. ქარტია აერთიანებს საქართველოს ევროკავშირში გასაწევრიანებლად ევროპული კომისიის მიერ დადგენილ 9 პუნქტს, ასევე რიგი დემოკრატიული რეფორმების გატარების დაპირებას, რაც ყველა ანტიდემოკრატიული კანონის გაუქმებასა და ზაფხულში დემონსტრაციების დროს დაკავებულებისა და დაჯარიმებულების შეწყალებას მოიცავს. ქარტია ასევე ადგენს, რომ აღნიშული რეფორმების გატარების შემდეგ პარტიები, სავარაუდოდ 2025 წლის შემოდგომისთვის, ახალ არჩევნებს მოიწვევენ. ქარტიას, რამდენიმე შედარებით პატარა პარტიასა და პარლამენტის დამოუკიდებელ წევრებთან ერთად, ოთხივე ძირითადმა ოპოზიციურმა გაერთიანებამაც მოაწერა ხელი.

სამართლებრივი ჩარჩო

2017 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების შესაბამისად, საქართველოში პირველად საპარლამენტო არჩევნები სრული პროპორციული სისტემით ჩატარდა. შერეულ სისტემაზე უარის თქმა დიდხნიანი პრობლემის - პარლამენტში პლურალიზმის ნაკლებობის - გადაწყვეტას ისახავდა მიზნად. თუმცა, საარჩევნო ბლოკების აკრძალვა, პარლამენტის მიერ პარტიებისთვის ხუთპროცენტიანი ბარიერის დატოვება (ნაცვლად ორი პროცენტისა შემდეგ ორ არჩევნებზე, რომელიც 19 აპრილის შარლ მიშელის შეთანხმების[1] ფარგლებში გადაწყდა) პარლამენტში ოპოზიციის წარმომადგენლობის შესუსტების მცდელობად იქნა აღქმული.

[1]ოპოზიცური პარტიების მიერ პარლამენტის ბოიკოტისა და რიგგარეშე არჩვნების მოთხოვნის შემდეგ, აშშ-მა და ევროკავშირმა წარმართეს მოლაპარაკებები, რათა დაესრულებინათ აღნიშნული კრიზისი.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საარჩევნო საკანონმდებლო ჩარჩოში[2] 20-ზე მეტი ცვლილება შევიდა. აღნიშნულმა რამდენიმე ცვლილებამ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება მმართველი პარტიის ხელში მოაქცია, ანგარიშვალდებულება შეამცირა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით კითხვები გააჩინა. წინა საპარლამენტო არჩევნების შემდეგ განხორციელებული რეფორმები მრავალპარტიულ შეთანხმებებსა და საჯარო კონსულტაციებს ეფუძნებოდა და საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეების მიერ წამოჭრილი ისეთი საკითხების გადაჭრას ცდილობდა, როგორიცაა: საუბნო სააარჩევნო კომისიების მიერ გადათვლის პროცედურის განმარტება, გასაჩივრების პროცესის გახანგრძლივება, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების რეგულაციების შესწორება და გადასატანი ყუთით ხმის მიცემის პროცესის დამატებითი დაცვის მექანიზმების შემუშავება.

თუმცა 2023 და 2024 წლებში განხორციელებული ცვლილებები, უმეტესწილად, მმართველი პარტიის მიერ იყო ინიცირებული და მას მრავლაპარტიული პოლიტიკური მხარდაჭერა აკლდა. ამ ცვლილებების მაგალითებია: ცესკოს თავმჯდომარისა და არაპარტიული წევრების არჩევისთვის ბარიერის დაწევა უბრალო უმრავლესობამდე; პრეზიდენტის როლის შემცირება ცესკოს წევრების კანდიდატის შერჩევის პროცესში და მათი წარდგენის უფლებამოსილების გადაცემა პარლამენტის თავმჯდომარეზე; ცესკოს თავმჯდომარის მოადგილის ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელზე გადაცემის ვალდებულების გაუქმება; ცესკოსთან არსებული მრჩეველთა ჯგუფის გაუქმება, რომელიც ტექნიკური და სამოქალაქო ექსპერტებისა და სახალხო დამცველის ოფისისგან შედგებოდა; ცესკოში გადაწყვეტილების მიღების ბარიერის დაწევა; გენდერული კვოტის და სიაში ქალი კანდიდატების ჩასმისთვის პარტიებისთვის დადგენილი ფინანსური წამახალისებელი ღონისძიებების გაუქმება.

მოლაპარაკებების შედეგად, პარტიებმა ხელი მოაწერეს 19 აპრილის შეთანხმებას, რომელიც ცნობილია შარლ მიშელის შეთანხმების სახელით. ენმ-მ შეთანხმებას ხელი არ მოაწერა. შეთანხმება ეხებოდა პოლარიზებული მართლმსაჯულების აღქმას, ადგენდა ამბიციურ საარჩევნო რეფორმებს, მათ შორის სრულ პროპორციულ საარჩევნო საპარლამენტო სისტემაზე გადასვლას და ორპროცენტიან საარჩევნო ბარიერს, სასამართლო სისტემის რეფორმას, და ასევე ადგენდა პარლამენტში უფრო დაბალანსებულ ძალაუფლების გადანაწილების პრინციპს, რომელიც მიიღწეოდა საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეობის ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებისთვის გადაცემით.

[2]საქართველოში არჩევნებს არეგულირებს საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საარჩევნო კოდექსი, ცესკოს სამართლებრივი აქტები, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონი, მედია და კომუნიკაციების შესახებ კანონები

საარჩევნო წესებში ასეთი ნაჩქარევი და ბოლო წუთს მიღებული ცვლილებები ეწინააღმდეგება საუკეთესო საერთაშიროსო პრაქტიკას, რომელიც საარჩევნო პროცესებში ინკლუზიურობასა და გამჭვირვალობას უწყობს ხელს. ცესკოს შემადგენლობაში, წარდგენისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა კომისიის დამოუკიდებლობის მიმართ ნდობა შეარყია, რაც არაერთხელ იქნა აღნიშნული ადგილობრივი სამოქალაქო სადამკვირვებლო ჯგუფებისა და ოპოზიციური პარტიების მიერ.

პარლამენტმა ასევე არ გაითვალისწინა მნიშვნელოვანი რეკომენდაციები, რომელიც გაიცა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR), ვენეციის კომისიის, 2021 წლის 19 აპრილის შარლ მიშელის შეთანხმების და სხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ და რომელიც ეხებოდა ისეთ თემებს, როგორიცაა: საარჩევნო დავების გადაწყვეტის მექანიზმების, კამპანიის დაფინანსების პარამეტრებისა და ზედამხედველობის გაძლიერება და სახელმწიფო რესურსების არასათანადო გამოყენების აღკვეთა.[3]

საარჩევნო დავების გადაწყვეტა

მსგავსად წინა არჩევნებისა, რამდენიმე აქტორმა საარჩევნო დავების გადაწყვეტის მექანიზმის ეფექტურობასთან და საქართველოში სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული წუხილები გააჟღერა. საჩივრები ძირითადად ეხებოდა საარჩევნო კამპანიის წესების დარღვევას, ადმინისტრაციული რესურსების არასათანადო გამოყენებას, ან საარჩევნო უბნის დაფუძნების, ორგანიზების და ფუნქციონირების წესს. საჩივრებს, როგორც წესი, განიხილავს საოლქო საარჩევნო კომისია, იურისდიქციიდან გამომდინარე, თუმცა მათი გასაჩივრება შესაძლებელია უფრო მაღალი ინსტანციის კომისიასა და სასამართლოში. 22 ოქტომბრისთვის, საარჩევნო ადმინისტრაციასა და სასამართლოში შეტანილი დაახლოებით 200 საჩივრიდან, დაკმაყოფილდა 2, არ იქნა მიღებული 92 საჩივარი, სადავოდ იქნა მიღებული ერთი საჩივარი, ხოლო 104-ზე ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილება მიღებული[4]. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა და პარტიებმა აღნიშნეს, რომ ცესკო არ იჩენდა მზაობას საჩივრების დაკმაყოფილების კუთხით და მოითხოვდა მტკიცების მაღალ დონეს. სასამართლო, როგორც წესი, საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებას ძალაში ტოვებდა და ხშირად საჩივრებს განსახილველად არ იღებდა. იმ პირობებში, როდესაც მოსამართლეობის

[3]A way ahead for Georgia Charles Michel agreement: https://euneighbourseast.eu/wp-content/uploads/2021/07/210418_mediation_way_ahead_for_publication_0.pdf

[4]ცესკოს მონაცემები, რომელიც ასახავს პირველი ინსტანციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს 22 ოქტომბრის მონაცემებით

კანდიდატებისა და მოსამართლეების კეთილსინდისიერება სათანადოდ არ არის შემოწმებული და ისინი მმართველი პარტიის გავლენის ქვეშ მყოფ აქტორებად აღიქმებიან, არჩევნების შემდგომ პერიოდში გამოწვევების გადაჭრასთან დაკავშირებით მათი სანდოობა შესაძლოა ეჭვქვეშ დადგეს.[5]

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის მანდატი საჯარო მოხელეების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევებზე რეაგირება იყო.[6] თუმცა, მას არ გააჩნდა ფორმალური უფლებამოსილება და დაკარგა სანდოობა რამდენიმე არჩევნების განმავლობაში, რადგან სამოქალაქო აქტორებისა და ოპოზიციის წარმომადგენელებისგან ფიქსირდებოდა იმედგაცრუება, რომ კომისიის შემადგენლობა არ იძლეოდა მიუკერძოებელი განხილვის საშუალებას. 2024 წელს კომისიის მიერ ადმინისტრაციული რესურსების სავარაუდო არასათანადო გამოყენების და კამპანიის სხვა წესების დარღვევის შესახებ 30-ზე მეტი საქმე იქნა განხილული. კომისიაში მონაწილეობა არ მიუღიათ ოპოზიციური პარტიების უმრავლესობას და წამყვან სამოქალაქო სადამკვირვებლო ჯგუფებს, რამაც კომისიის საქმიანობის ეფექტურობა და მნიშვნელობა შეამცირა.

<u>საარჩევნო ადმინისტრაცია</u>

ცენტრალური საარჩევნო კომისია

საქართველოში არჩევნების ადმინისტრირება სამდონიანი სტრუქტურით ხდება, რომელიც ცენტრალურ საარჩევნო კომისიას (ცესკო) და აპარატს, 73 საოლქო საარჩევნო კომისიას, 3,111[7] საუბნო საარჩევნო კომისიას და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საარჩევნო კომისიას და აპარატს მოიცავს.

ცესკო არჩევნების ადმინისტრირების ტექნიკურად კომპეტენტური ორგანოა, რომელმაც 2024 წლის არჩევნების წინა პერიოდი საქართველოს კანონმდებლობისა და გრაფიკის მიხედვით განახორციელა. ცესკოს საქმიანობა უმეტესწილად ჩატარდა გამჭირვალედ, მათ შორის უზრუნველყოფილი იყო გადაწყვეტილების მიღების პროცესის და მონაცემების ონლაინ და პირდაპირი ტრანსლაციით გაზიარება. ცესკო პასუხობდა ადგილობრივი და საერთაშორისო მხარეების მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას. ცესკო ასევე აწარმოებდა

[5] https://courtwatch.ge/en/articles/4fd66c8d-9bd2-4c21-beee-90671903b74b; https://courtwatch.ge/articles/47ngos?fbclid=iwar3qfinxosxgjanpfbmtj86wammohrrw7ss4kaqfpm2nt9b9sbq8jt474lu

[6] იუსტიციის სამინისტროს ბრძანება No 1007, 24ივნისი, 2024

[7]საუბნო საარჩევნო კომისიების საერთო რაოდენობა მოიცავს 3,031 რეგულარულ და 13 სპეციალურ საარჩევნო უბანს, როგორიცაა უბნები საავადმყოფოებსა და სამხედრო ბაზებზე, ასევე საქართველოს აქვს 67 უბანი საზღვარგარეთ.

ამომრჩეველთა განათლებას, რათა ამომრჩევლებისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია ახალ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე, ახალ საარჩევნო ტექნოლოგიებზე და საზღვარგარეთ ხმის მიცემაზე. თუმცა რამდენიმე მხარემ აღნიშნა, რომ კამპანია სათანადო ყურადღებას არ აქცევდა ძირითადი ურბანული დასახლებების მიღმა არსებულ ამომრჩეველს. მიუხედავად იმისა, რომ ცესკო რეგულარულად მართავდა პრესკონფერენციებს და წინასაარჩევნო პერიოდში აზიარებდა ინფორმაციას, მისი პასუხები სამოქალაქო საზოგადოების და პოლიტიკური პარტიების კრიტიკაზე ყოველთვის კონსტრუქციული არ იყო; ის ავრცელდებდა არაერთ განცხადებას, სადაც აღნიშნულ კრიტიკას და წამოწეულ პრობლემებს ინფორმაციულ მანიპულაციას უწოდებდა.

წლებია, რაც ცესკო ხალხის შედარებით მაღალი ნდობით სარგებლობს, თუმცა ეს აღქმა მას შემდეგ დაზიანდა, რაც გატარებული რეფორმების შედეგად მმართველ პარტიას ხელმძღვანელ პოზიციებზე დანიშვნის ექსკლუზიური უფლებამოსილება მიეცა. სამოქალაქო სადამკვირვებლო ორგანიზაციებისა და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მიერ გაჟღერდა წუხილები ცესკოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, აგრეთვე მის უნარზე გაუძლოს ზეწოლას მმართველი პარტიისგან. ამავე ჯგუფებმა ასევე ყურადღება გაამახვილეს ზემოხსებულ ცვლილებებზე, რომელიც ეხება ცესკოს გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებსა და პროცედურებს, აგრეთვე საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის ფუნქციების განაწილებას ნაკლებად გამჭვირვალე პირობებში არჩევნებამდე არაუგვიანესს 7 დღისა - ნაცვლად არჩევნების დღისა. ამ ყველაფერმა შესაძლოა ხელი შუეშალოს ინკლუზიურობას და ანგარიშვალდებულებას.

ცესკოში არჩევნების ადმინისტრირებაზე საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში საქართველოს მასშტაბით 53,678 კომისიის წევრი იყო პასუხისმგებელი. ყველა დონის კომისია შედგებოდა პარტიული წევრებისა და არაპარტიული პროფესიონალი წევრებისგან, რომლებიც ადგილობრივ დონეზე შეარჩიეს და ცესკომ და საოლქო საარჩევნო კომისიებმა დაამტკიცეს. ცესკოს პროცედურებს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების ასარჩევად კონსენსუსი აკლდა. საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი ვაკანსიების ხუთი პროცენტი ხმის მიცემის პირველი ეტაპის ორი მესამედის უმრავლესობით იქნა შერჩეული, მაშინ როდესაც წევრების უმრავლესობა მეორე ეტაპზე უბრალო უმრავლესობით შეირჩა. საუბნო საარჩევნო კომისიის არაპარტიული წევრების შერჩევის პროცესი არ იყო კონკურენტული; თითქმის ყველა შემთხვევაში, აპლიკანტების რაოდენობა იყო იმავე რაოდენობის ან რამდენიმეთი მეტი ვიდრე შესავსები პოზიციების რაოდენობა. ოპოზიციურმა პარტიებმა ასევე უკმაყოფილება გამოთქვეს პროცესთან დაკავშირებით და ამტკიცებდნენ, რომ განცხადებასთან დაკავშირებული მასალები არ იქნა დროულად გაზიარებული.

ცესკოს ტრენიგ ცენტრმა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების კომპეტენციის ამაღლებაზე სერთიფიცირების პროგრამის მეშვეობით იზრუნა. შემდგომი ტრენინგ პროგრამების სერია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის ასევე კარგად იყო ორგანიზებული. პარტიული წევრები ხშირად არათანმიმდევრულად ესწრებოდნენ ტრენინგებს, რასაც შეიძლება გავლენა მოეხდინა მათ მიერ არჩევნების დღეს პროცედურების გაგებასა და ზოგადად მათ საქმიანობაზე.

საარჩევნო ტექნოლოგიები

პირველად საქართველოში, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (ცესკო) საარჩევნო უბნების უმრავლესობაში ელექტრონული საარჩევნო ტექნოლოგიები გამოიყენა. მათ შორისაა ამომრჩევლების ვერიფიკაციის აპარატები და ბიულეტენების სკანირებისა და ხმის მთვლელი აპარატები, რომელთა შედეგად მიღებული წინასწარი შედეგები ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში პლანშეტების გამოყენებით გადაიგზავნა. 2022 წელს პოლიტიკურ პარტიებს შორის არსებობდა კონსენსუსი, რომ ახალი ტექნოლოგიების დანერგვა შეამცირებდა საარჩევნო პროცესში ადამიანურ შეცდომას, გაზრდიდა ეფექტიანობას და შეამცირებდა გაყალბების რისკებს. არჩევნებში ტექნოლოგიების გამოყენება ხმის მიცემის საქართველოში დამკვიდრებული კულტურისთვის მნიშვნელოვანი ცვლილება აღმოჩნდა - განსაკუთრებით ხმის მიცემის ახალი ფორმა. ცესკომ საარჩევნო ტექნოლოგიები კომპანია "სმარტმატიკისგან" (Smartmatics) შეიძინა. "სმარტმატიკის" სპეციალისტებმა ცესკოსთან ერთად იმუშავეს აპარატების ტესტირებასა და განთავსებაზე.

ელექტრონული საარჩევნო ტექნოლოგიები 2,263 (74.6 პროცენტი) საარჩევნო უბანზე დაინერგა, რომლებიც ამომრჩეველთა დაახლოებით 90 პროცენტს მოიცავს. დარჩენილ 768 (25.4 პროცენტი) საარჩევნო უბანზე, რომლებიც ამომრჩეველთა დაახლოებით 10 პროცენტს ფარავს, ხმის მიცემის ტრადიციული მეთოდი იყო გამოყენებული. ხმის მიცემის არაელექტრონული (ტრადიციული) მეთოდი შენარჩუნდა იმ საარჩევნო უბნებზე, რომლებშიც 300 ან ნაკლები ამომრჩეველი იყო რეგისტრირებული, ან უბნებში, რომლებიც შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიიდან 20 კილომეტრზე მეტით იყვნენ დაშორებული. საარჩევნო უბნებიდან, რომლებიც ეთნიკურ უმცირესობებს ფარავენ, 166-ში (53.9 პროცენტი) გამოყენებული იყო ელექტრონული საარჩევნო ტექნოლოგიები, ხოლო 142-ში (46.1 პროცენტი) ხმის მიცემის ტრადიციული მეთოდი იყო შენარჩუნებული. იმ დაშვებით, რომ ელექტრონული საარჩევნო ტექნოლოგიები ხმის მიცემის დროს შეამცირებდა, ცესკომ თითოეულ საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა რაოდენობა 1500-დან 3000-მდე გაზარდა.

შედეგად, საარჩევნო უბნების რაოდენობა 2020 წელთან შედარებით (3647 უბანი) შემცირდა. თუმცა, წინასაარჩევნო პერიოდში სხვადასხვა აქტორმა პრობლემურად მიიჩნია ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცესში შეფერხებების შექმნის რისკი - განსაკუთრებით დიდი ზომის საარჩევნო უბნებზე. მეტიც, პრობლემურად იყო მიჩნეული საბოლოო, ხელით დათვლის პროცესში იმ ბიულეტენების ბედი, რომლებიც ელექტრონული ხმის დათვლის შედეგად ბათილად იყო ცნობილი, მაშინ როცა მათზე ამომრჩევლის ნება ნათლად იყო დაფიქსირებული.[8]

ბევრმა აქტორმა ცესკოს მიერ ელექტრონული საარჩევნო ტექნოლოგიების დროის მჭიდრო მონაკვეთში დანერგვა დადებითად შეაფასა. მიუხედავად ამისა, ზოგიერთმა ჩართულმა მხარემ პრობლემურად მიიჩნია ტექნოლოგიების სწრაფ ტემპში დანერგვა მათი შეზღუდული პილოტირების ფონზე. 2023 წლის აპრილში აშშ-ში ლიცენზირებულმა[9] კომპანია "პრო ვ&ვ"-მ (Pro V&V) საქართველოში აუდიტი ჩაატარა, რომელმაც ტექნოლოგიების მხოლოდ ცალკეული ასპექტები შეაფასა და არა მთლიანი სისტემა. ანგარიშის მომზადების მომენტისთვის, კომპანია "პრო ვ&ვ" რიგით მეორე სამფაზიანი აუდიტის ჩატარების პროცესში იყო, რომელიც კენჭისყრის დღის ბოლომდე ან უფრო გვიან დასრულდება. საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, ცესკომ ვერიფიკაციის და ხმის მთვლელი აპარატების პილოტირება 2024 წლამდე რამდენიმე ადგილობრივი და შუალედური არჩევნების დროს განახორციელა. თუმცა, ცესკოს ყველა ტექნოლოგიის ერთდროული, ყოვლისმომცველი ტესტირება ქვეყნის მასშტაბით არ ჩაუტარებია. ამასთან, ტესტირების შედეგები, წერილობითი ანგარიშები ან სხვა ინფორმაცია, რომელიც სიმულაციის პროცესს დაადასტურებდა, არ გასაჯაროებულა. ცესკოს ონლაინ-პორტალმა, სადაც შედეგების სწრაფი გამოქვეყნება ხდება, გამჭვირვალობა გაზარდა. თუმცა, ბუნდოვანი დარჩა, რამდენად გაიარა ტესტირება ელექტრონული ტექნოლოგიებით აღჭურვილმა საარჩევნო უბნებმა მომხმარებელთა დიდი რაოდენობის პირობებში დატვირთვის შემთხვევებისთვის. ამასთან, გაურკვეველი რჩებოდა, რამდენად გასაჯაროვდებოდა შედეგების შესახებ ინფორმაცია მონაცემების ღია ფორმატში.

---

[8]ელექტრონულად დათვლილი ბიულეტენების გადათვლა ხელითაც ხდება, რომლის შედეგად მიღებული მონაცემებს ოფიციალური სტატუსი აქვს. მიუხედავად ამისა, ბიულეტენები, რომლებიც ელექტრონული დათვლის შედეგად ბათილად გამოცხადდა (მაგალითად, იმიტომ, რომ ამომრჩეველმა სახელები შემოხაზა, წრის გაფერადების ნაცვლად), ბათილად უნდა იყოს ცნობილი ხელით დათვლის შედეგადაც, მაშინ, როცა ბიულეტენზე ამომრჩევლის განზრახვა ნათლადაა დაფიქსირებული. ამას ის მიზანი აქვს, რომ ელექტრონული და ხელით დათვლის შედეგად ბათილად გამოცხადებულ ბიულეტენებს შორის განსხვავება არ იყოს.

[9] ლიცენზირებულია აშშ-ს საარჩევნო დახმარების კომისიის მიერ (EAC)

პოლიტიკური პარტიები და საარჩევნო კამპანია

წინასაარჩევნო კამპანიის ოფიციალური, 60-დღიანი პერიოდი პოლიტიკურ კონკურენტებს შორის პერსონალური და მტრული რიტორიკით გამოირჩეოდა. თუმცა კამპანიის გარემო წინა წლებთან შედარებით უფრო მშვიდი იყო. ცესკომ საარჩევნო სუბიექტების 18 სია დაარეგისტრირა.[10] მიუხედავად ამისა, 18 სუბიექტიდან საარჩევნო კამპანიაში ძირითად კონკურენტებად "ქართული ოცნება" და ოთხი ძირითადი ოპოზიციური გაერთიანება გამოიკვეთა.[11]

საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებების მიხედვით გაუქმდა საარჩევნო ბლოკები და პარლამენტში მანდატების მისაღებად ბარიერი ხუთ პროცენტამდე გაიზარდა. ამის გამო, მრავალმა პატარა პარტიამ უფრო მსხვილ პარტიებთან გაერთიანება და კანდიდატების საერთო სიებში ნომინირება გადაწყვიტა. საერთო კოალიციური სიის ფორმირება, მრავალი მცდელობის მიუხედავად, წარუმატებლად დასრულდა, რასაც პოლიტიკურ ლიდერებს შორის არსებულმა ურთიერთუნდობლობამ და პერსონალურმა პოლიტიკურმა ამბიციებმა შეუშალა ხელი.

საარჩევნო კამპანიის მესიჯებში ქვეყნის სამომავლო გეზის და საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის თემები დომინირებდა. ოპოზიციური პარტიების უმეტესობა არჩევნებს ევროპასთან ან რუსეთთან პარტნიორობის შესახებ რეფერენდუმად წარმოაჩენდა. მმართველი პარტია კი მას მშვიდობასა (იმ შემთხვევაში, თუკი ქართული ოცნება გაიმარჯვებდა) და ომს (იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიცია გაიმარჯვებდა) შორის არჩევნად სახავდა. "ქართული ოცნების" მესიჯებში ხაზგასმული იყო მმართველი პარტიის მიერ ეკონომიკაში მიღწეული წარმატებები. ამასთან, მათი მესიჯები ოპოზიციასთან დაკავშირებით შიშის და კონსპირაციების გავრცელებას ცდილობდა. კერძოდ, ოპოზიციის დისკრედიტაციის მიზნით, "ქართული ოცნება" მათ "გლობალური ომის პარტიის" წევრებად წარმოაჩენდა, რომელიც საქართველოს სუვერენიტეტის და "ქართული ოცნების" მმართველობის ძირის გამოთხრას ისახავდა მიზნად. "ქართული ოცნების"

---

[10]2020 წელთან შედარებით, როცა არჩევნებში 48 პარტია და 2 კოალიცია მონაწილეობდა, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების რაოდენობა შემცირდა.

[11]18 საარჩევნო სუბიექტს, რომლებმაც ცესკოში სიები წარადგინეს, შორის იყვნენ: ევროპელი დემოკრატები; ქართული ოცნება; საქართველოს პატრიოტთა ალიანსი; გირჩი; გახარია საქართველოსთვის; მემარცხენე ალიანსი; ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა; შეცვალე საქართველო; კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა; ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!; ჩვენი გაერთიანებული საქართველო; ტრიბუნა; ქართველ ერთობა; საქართველო; საქართველოს ლეიბორისტული პარტია; თავისუფალი საქართველო; საქართველოს ერთობისა და განვითარების პარტია.

ლიდერები “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” და სხვა ოპოზიციური პარტიების[12] აკრძალვის მოწოდებით გამოდიოდნენ. ამასთან, მმართველი პარტიის ლიდერებმა ტრადიციული და ქრისტიანული ღირებულებების დაცვას (ლგბტქი+ ადამიანების სტიგმატიზების გზით) და მართლმადიდებლური ქრისტიანობის კონსტიტუციაში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას დაუჭირეს მხარი[13]. მრავალი პოლიტიკური და სამოქალაქო საზოგადოების აქტორი მიიჩნევს, რომ სტაბილურობის და განგრძობითი ეკონომიკური ზრდის შესახებ "ქართული ოცნების" გზავნილებმა დადებითი გამოხმაურება ჰპოვა სოფლებში, სადაც ამომრჩევლებს მრავალფეროვან მედია-საშუალებებზე შეზღუდული წვდომა ჰქონდათ და სადაც ამომრჩევლებისთვის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს საჯარო სექტორში დასაქმება და სახელმწიფო სოციალური დახმარების მიღება წარმოადგენს.

წინასაარჩევნო კამპანია 26 აგვისტოს დაიწყო. გასულ წლებთან შედარებით, კამპანია ნაკლებად აქტიურად წარიმართა, მაგრამ კენჭისყრის დღის მოახლოებასთან ერთად უფრო ინტენსიური გახდა. საარჩევნო კამპანიას სხვადასხვა ფორმა ჰქონდა, მათ შორის: კარდაკარ აგიტაცია, ამომრჩევლებთან შეხვედრები, კამპანიის ბროშურების და გაზეთების (მათ შორის უმცირესობების ენებზე) გავრცელება, პლაკატები, სატელევიზიო და ბეჭდურ მედიაში რეკლამები, ბილბორდები, სოციალური მედია და აქციები. “ქართული ოცნების” კამპანია ყველაზე ხილვადი და მასშტაბური იყო და წინასაარჩევნო პერიოდში ყველაზე მეტ ღონისძიებას მოიცავდა. ოპოზიციური პარტიების ფოკუსი უფრო კონკურენტულ და დემოგრაფიულად მნიშვნელოვან რეგიონებზე იყო მიმართული (თბილისი, აჭარა, დასავლეთ საქართველოს რეგიონები), რაც წინა წლებში ამ რეგიონებში “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” შედარებით მაღალი მხარდაჭერითა და პარტიების ადგილობრივი ქსელებით იყო განპირობებული. ურბანული ცენტრები, როგორიცაა თბილისი და ბათუმი, უფრო კონკურენტული აღმოჩნდა, მაშინ როცა ქვემო ქართლი და

---

[12]19 ოქტომბერს საჯაროდ გამოსვლისას “ქართული ოცნების” საპატიო თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა: “ამას გარდა, საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემდეგ, ქვეყნის უმთავრესი სამართლებრივი დოკუმენტის დონეზე ავკრძალავთ და საკუთარი ხალხის წინაშე ჩადენილი, მათ შორის ომის დანაშაულის გამო, კანონის სრული სიმკაცრით ვაგებინებთ პასუხს ნაციონალურ მოძრაობასა და მის სატელიტ თუ მემკვიდრე პარტიებს”.

[13]საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ "ქართული ოცნების" შეთავაზება "თავაზიანობის ჟესტად" შეაფასა, თუმცა მართლმადიდებლობის კონსტიტუციაში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებაზე უარი განაცხადა. საპატრიარქო და "ქართული ოცნება" შეთანხმდნენ, რომ ამ საკითხზე ნებისმიერი გადაწყვეტილება სამ ძირითად პრინციპს დაეფუძნება ა) კონსტიტუციაში ცვლილება არ განხორციელდება ეკლესიასთან კონსულტაციის გარეშე; ბ) ცვლილება მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიის გამოცხადებას არ ითვალისწინებს; გ) საკონსტიტუციო ცვლილება გააძლიერებს და გაზრდის ეკლესიის როლს.

სამცხე-ჯავახეთი (რომლებშიც ეთნიკური უმცირესობები მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს) ნაკლებად კონკურენტული იყო.

ოპოზიციური პარტიები ხშირად მიუთითებდნენ "შიშის გარემოზე", რომელიც გავლენას ახდენდა ადგილობრივ მოსახლეობაზე. ამან ოპოზიციურ პარტიებს ხელი შეუშალა კამპანიის წარმოებაში, სახსრების მოძიებასა და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისა და პარტიების წარმომადგენლების რეკრუტირებაში. ოპოზიციური პარტიები მიუთითებდნენ სირთულეებზე, რომლებსაც კამპანიისთვის ოფისების დაქირავების და ბილბორდებისთვის სივრცის ქირაობის კუთხით აწყდებოდნენ მთელი ქვეყნის მასშტაბით (მათ შორის, მესაკუთრეებზე განხორციელებული ზეწოლაზე, რის გამოც ისინი ოპოზიციური პარტიებისთვის საკუთრების/სივრცის მიქირავებაზე უარს ამბობდნენ). ამან ოპოზიციურ პარტიებს ამომრჩევლებთან საჯაროდ შეხვედრის შესაძლებლობა შეუზღუდა, რის გამოც მათ კამპანიის მთავარ ფორმად კარდაკარ აგიტაციის გამოყენება მოუწიათ. ოპოზიციურმა პარტიებმა ხაზი გაუსვეს სახელმწიფო და ადმინისტრაციული უწყებების და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუსი) მიერ დაშინების მცდელობებს, რამაც მოქალაქეებს ოპოზიციის შეხვედრებზე დასწრებისგან თავის არიდებისკენ უბიძგა. არჩევნების კვირამდე ვრცელდებოდა ინფორმაცია პოლიტიკურ ლიდერებსა და აქტივისტებზე მიმართული ძალადობის ინციდენტების შესახებ[14]. ამგვარმა ქმედებებმა ზიანი მიაყენა შეკრების თავისუფლებას და ზოგიერთ პარტიას კონკურენციის შესაძლებლობა შეუზღუდა.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა ხმების მოსყიდვის და ამომრჩევლებზე ზეგავლენის შესაძლო შემთხვევები დააფიქსირეს[15]. ოპოზიციური პარტიებისა და ადგილობრივი დამკვირვებლების ინფორმაციით, ადგილი ჰქონდა საჯარო სექტორში დასაქმებული პირების მობილიზებას, რომლებიც "ქართული ოცნების" მხარდამჭერი ამომრჩევლების სიებს ადგენდნენ და მათ პირად (ID) ნომრებს აგროვებდნენ. სამოქალაქო ორგანიზაციებმა დააფიქსირეს შემთხვევები, როცა არჩევნებზე ზეგავლენის მიზნით "ქართული ოცნების" ადგილობრივი კოორდინატორები ან საჯარო მოხელეები ამომრჩევლებს პირადობის დამადასტურებელ მოწმობებს ართმევდნენ თანხის სანაცვლოდ ან მათ კონფისკაციას ახდენდნენ (კენჭისყრის შემდგომ დღემდე).

საქართველოში არჩევნებისთვის დამახასიათებელ მუდმივ პრობლემებს შორისაა ადმინისტრაციული რესურსების არასათანადოდ გამოყენება[16], სახელმწიფოსა და

[14] https://transparency.ge/en/post/october-23-attack-levani-gogichaishvili-one-leaders-gakharia-georgia-subway-station
[15] https://isfed.ge/eng/gantskhadebebi/samartliani-archevnebis-gantskhadeba-amomrchevlebze-zetsolis-faqtebtan-dakavshirebit
[16] https://transparency.ge/en/post/october-7-georgian-dream-secret-election-campaigns-were-held-expense-municipalities-budgets

მმართველ პარტიას შორის ზღვრის წაშლა[17] და საჯარო მოხელეებზე განხორციელებული ზეწოლა[18]. NDI-ის სადამკვირვებლო მისიამ "ქართული ოცნების" მხარდამჭერ აქციებზე საჯარო მოხელეების ფართო მობილიზაცია დააფიქსირა. არასამთავრობო ორგანიზაციებმა და ოპოზიციურმა პარტიებმა საჯარო სექტორში დასაქმებულებზე, მათ შორის მასწავლებლებზე, მუნიციპალურ მოხელეებსა და სახელმწიფო დასაქმებასა და შემწეობაზე დამოკიდებულ პირებზე ზეწოლა დააფიქსირეს, რომლებსაც "ქართული ოცნების" მხარდაჭერ ღონისძიებებზე დასწრებას ან პარტიის მიმართ ერთგულების გამოხატვას თხოვდნენ. აღნიშნული ზეწოლა განსაკუთრებით გავრცელებული იყო სოფლებში და ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში.[19] არასამთავრობო ორგანიზაციები და ოპოზიციური პარტიები ასევე მიუთითებდნენ მთავრობის მიერ შემუშავებულ დასაქმების "ხელოვნურ" სქემებზე, რომლებსაც სწორედ ამ რეგიონებში ჰქონდა ადგილი. ამასთან, მართლმადიდებლური ეკლესიისთვის დიდი მოცულობის მიწების გადაცემა - და ეკლესიის მიერ მმართველი პარტიის მხარდასაჭერი განცხადებები - არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე საეჭვოდ გამოიყურებოდა.[20]

ადმინისტრაციული რესურსების არასათანადოდ გამოყენებაში ბრალი დასდეს საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს - არჩევნების დაკვირვების საკოორდინაციო პლატფორმის და ოპოზიციური კოალიციის მოლაპარაკებების პრეზიდენტის სასახლეში გამართვის გამო.

ძალადობის ცალკეული შემთხვევების შესახებ ინფორმაცია გავრცელდა წინასაარჩევნო კამპანიის ოფიციალური პერიოდის განმავლობაში, რომელიც პარტიის წევრებსა და კამპანიის მონაწილეებზე ფიზიკურ თავდასხმას, კამპანიის ღონისძიებებისთვის ხელის შეშლას და კამპანიის ოფისების, ბილბორდებისა და პლაკატების დაზიანებას შეეხებოდა. როგორც ოპოზიციის, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს, რომ პოლიციის მიერ გამოძიების წარმოების ნელმა ტემპმა ზიანი მიაყენა სამართალდამცავი ორგანოების მიმართ ნდობას და სახელმწიფოს მიერ ამ ინციდენტებში პირდაპირი ჩართულობის შესახებ ეჭვები გააღრმავა.

[17] https://transparency.ge/en/post/september-29-illegal-use-administrative-resources-oni-georgian-dream-candidate-parliament-gocha
[18] https://isfed.ge/eng/2024-saparlamento/2024-tslis-saparlamento-archevnebis-tsinasaarchevno-periodis-monitoringis-shualeduri-angarishi-27-agvisto-30-seqtemberi
[19] THE LONG-TERM OBSERVATION MISSION OF THE 2024 PARLIAMENTARY ELECTIONS III INTERIM REPORT
[20] https://transparency.ge/en/post/september-29-illegal-use-administrative-resources-gardabani-georgian-dream-candidate-parliament

საარჩევნო კამპანიის ფინანსები

საქართველოში პოლიტიკურ კამპანიებს ფინანსური რესურსების გაუმჭვირვალე ხარჯვა და მათზე არათანაბარი წვდომა ახასიათებთ. გასული საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, პოლიტიკური კამპანიის ფინანსების მონიტორინგი და ზედამხედველობა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის კომპეტენციიდან ახლადშექმნილი ანტი-კორუფციული ბიუროს (ACB) კომპეტენციაში გადავიდა. აღნიშნული კომპეტენციის დამოუკიდებელი საზედამხედველო უწყებისთვის გადაცემა მრავალი წლის განმავლობაში იყო რეკომენდაციების საგანი. მიუხედავად ამისა, ანტიკორუფციული ბიუროს დამოუკიდებლობასა და მის მიერ კანონის მიუკერძოებლად აღსრულების შესახებ პრობლემები გამოიკვეთა. მაგალითად, ბიუროს ხელმძღვანელს პრემიერ-მინისტრი საკანონმდებლო ორგანოს თანხმობის გარეშე ნიშნავს. ბიურომ ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია და მათი ლიდერები მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონის მიხედვით "გაცხადებული საარჩევნო მიზნის" მქონე სუბიექტებად გამოაცხადა, რაც არასამთავრობო ორგანიზაციებს საკუთარი პოზიციების ადვოკატირების შესაძლებლობას უზღუდავს - მიუხედავად იმისა, ემთხვევა თუ არა მათი პოზიციები ოპოზიციური პარტიების შეხედულებებს. ბიუროს მიერ სუბიექტად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება მისასალმებელი იყო. თუმცა, აღნიშნული გადაწყვეტილება პრემიერ-მინისტრის მიერ საჯაროდ გაჟღერებულ მოთხოვნას მოჰყვა, რაც ბიუროს დამოუკიდებლობის შესახებ დამატებით კითხვებს აღძრავს. საქართველომ პოლიტიკური პარტიების დაფინანსების რეგულირების კუთხით ნაბიჯ-ნაბიჯ პროგრესი აჩვენა. მიუხედავად ამისა, რეგულირების, ზედამხედველობის და აღსრულების კუთხით პრობლემურად რჩება სახელმწიფო რესურსების არასათანადოდ გამოყენება, დაფინანსების გაუმჭვირვალე წყაროები და ერთი პოლიტიკური პარტიის ხელში თავმოყრილი რესურსების სიჭარბე. ანტიკორუფციული ბიუროს მიმართ ნდობა პრობლემური იქნება მანამ, სანამ ის ამ გამოწვევებს არ აღმოფხვრის.

2024 წლის არჩევნებში "ქართულ ოცნებას" მნიშვნელოვანი ფინანსური უპირატესობა ჰქონდა, რამაც მას შესაძლებლობა მისცა, თავის ოპონენტებზე ბევრად მეტი ფინანსები დაეხარჯა. ამან, თავის მხრივ, არათანაბარი გარემოს შექმნას შეუწყო ხელი. "ქართულმა ოცნებამ" 2024 წლის პირველი ცხრა თვის განმავლობაში შემოწირულობების 50 პროცენტზე მეტი მიიღო. "საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" (TI საქართველო) მიხედვით, წინასაარჩევნო კამპანიის პირველი ექვსი კვირის განმავლობაში, რვა პარტიის მიერ წინასაარჩევნო კამპანიაზე გაწეული ჯამური ხარჯების 53 პროცენტი

“ქართულ ოცნებაზე” მოდიოდა[21]. მედიაში გავრცელებული ცნობები და ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია “ქართული ოცნების” შემოწირულობებს სახელმწიფო კონტრაქტებს უკავშირებდა[22], ხოლო ოპოზიციური პარტიები “შავ ფულზე” მიუთითებდნენ.

სამოქალაქო სექტორი და არჩევნების დაკვირვება

არჩევნების სადამკვირვებლო ორგანიზაციების დისკრედიტაცია

წინასაარჩევნო პერიოდში მრავლად შეინიშნებოდა სახელმწიფოს მცდელობები ადგილობრივი ანტი-კორუფციული და სადამკვირვებლო ორგანიზაციების დისკრედიტაციის, სტიგმატიზების და ხელის შეშლის მიზნით. საბოლოო ჯამში, არჩევნების დამკვირვებლად აკრედიტაცია ბევრმა ადგილობრივმა მიუკერძოებელმა სადამკვირვებლო ორგანიზაციამ გაიარა - როგორიცაა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), ISFED-ი, “საერთაშორისო გამჭვირვალობა” (TI) და საერთო სამოქალაქო მოძრაობა “მრავალეროვანი საქართველო” (PMMG)[23]. მიუხედავად ამისა, სადამკვირვებლო ორგანიზაციები წინასაარჩევნო პერიოდში - კენჭისყრის დღის ჩათვლით - ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური შეტევის მსხვერპლი გახდნენ. ცილისმწამებლური კამპანიები სადამკვირვებლო ორგანიზაციების - განსაკუთრებით, ISFED-ის დამოუკიდებლობის, პროფესიონალიზმისა და დაკვირვების მეთოდოლოგიების დისკრედიტაციას ეწეოდნენ, რაც მათი მიგნებების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებას ისახავდა მიზნად. წინა არჩევნებისგან განსხვავებით, სადამკვირვებლო ჯგუფები საუბრობდნენ დამკვირვებლების რეკრუტირებისა და შენარჩუნების სირთულეზე, რასაც დისკრედიტაციის მცდელობებს უკავშირებდნენ. "ქართული ოცნება" - სამთავრობო და არჩეული წარმომადგენლების, ასევე პარტიული "ნიუსლეთერების" მეშვეობით - თანმიმდევრულად ეწეოდა საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების დისკრედიტაციასაც. საარჩევნო დამკვირვებლები საერთაშორისოდ არიან აღიარებულები, როგორც ადამიანის უფლებების დამცველები, არჩევნების დაცვაში მათი წვლილის გამო. სანდო სადამკვირვებლო მისიებისთვის ძირის გამოთხრის მცდელობები საფრთხეს უქმნის პროცესის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას და ზღუდავს დამკვირვებლების შესაძლებლობებს.[24]

[21] 2024 Georgian Parliamentary Election Campaign Funding Party Revenues, Expenditures and Financial Oversight - Interim report

[22] More than 2 million GEL in 9 months - who fills the coffers of "Georgian Dream" from Adjara?

[23] ცესკოს თანახმად, აკრედიტაცია გაიარა 111 ადგილობრივი ორგანიზაციის დაახლოებით 23 000-მა დამკვირვებელმა.

[24] https://srdefenders.org/information/the-situation-of-election-observers-as-human-rights-defenders%EF%BF%BC/

ანტი-დემოკრატიული კანონმდებლობა

2024 წლის მაისში უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის მიღებამ პოლიტიკური კლიმატი მკვეთრად შეცვალა და მედიისა და სამოქალაქო აქტორების საქმიანობა შეაფერხა. კანონი შეეხო ყველა ბეჭდურ მედიას, მაუწყებელს და არასამთავრობო ორგანიზაციას, რომლებიც დაფინანსების 20 პროცენტზე მეტს უცხოური წყაროებიდან იღებენ და მათ უცხო მთავრობის "გავლენის გამტარად" რეგისტრაცია დაავალდებულა. კენჭისყრის დღისთვის იუსტიციის სამინისტროს "უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ" ორგანიზაციათა რეესტრში 276 არასამთავრობო და მედია-ორგანიზაცია ირიცხებოდა[25]. თუმცა, იუსტიციის სამინისტროს ჯერ არ დაუწყია სხვა ორგანიზაციების რეესტრში რეგისტრაციისთვის ზომების მიღება, რომელსაც კანონი ითვალისწინებს.

კანონმდებლობის ბუნდოვანი ენა ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა და ხელისუფლებას კანონის აღსრულებისთვის ფართო დისკრეციულ უფლებას აძლევს. კანონმდებლობის გამო არასამთავრობო და მედია-ორგანიზაციებს სხვადასხვა ძალისხმევის გაწევა მოუწიათ, მათ შორის: მრავალთვიანი სამართლებრივი კონსულტაციების გავლა კანონის გავრცელების ფარგლებთან დაკავშირებით და სათადარიგო ზომების მიღება კანონის ამოქმედების ვადამდე (1 სექტემბერი). თბილისში არსებულ მრავალ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომლებიც ადვოკატირებას და ზედამხედველობას ეწეოდნენ, მათი საქმიანობის დიდი ნაწილის შეწყვეტა მოუწია. მოსალოდნელი ჯარიმების, ანგარიშების და ქონების კონფისკაციის და იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოძიებების მოლოდინში, ორგანიზაციებმა ზომები მიიღეს მათი ბენეფიციარების მონაცემების დასაცავად. ამას გარდა, არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმაციით, ისინი ადგილობრივი ხელისუფლებისგანაც განიცდიდნენ ზეწოლას უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონის შესაბამისად რეესტრში დარეგისტრირებისთვის. ორგანიზაციები მიუთითებდნენ სხვა სირთულეებზეც - მათ საჯარო სივრცეებზე წვდომა შეეზღუდათ, ხოლო მოქალაქეების ნაწილმა აღნიშნულ ორგანიზაციებთან ასოცირების შიშით მათ აქტივობებში მონაწილეობისგან თავის არიდება გადაწყვიტეს.

უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონის მიღების შემდეგ, სექტემბრის შუა რიცხვებში, პარლამენტმა მიიღო "ოჯახური ღირებულებების და არასრუწლოვანთა დაცვის" შესახებ საკანონმდებლო პაკეტი, რომელმაც შეზღუდვები დააწესა ლგბტქი+

[25] https://fitreg.napr.gov.ge/fitr/fitr-pub

თემის უფლებებზე, ისევე როგორც გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებებსა და სხვა საყოველთაო ფუნდამენტურ უფლებებზე. "ქართული ოცნების" ლიდერები რეგულარულად აწარმოებდნენ კამპანიას "ლგბტ პროპაგანდის" წინააღმდეგ, რასაც მიზნად კონსერვატიულად განწყობილი ამომრჩევლების მიმხრობა ჰქონდა. მმართველი პარტია ოპოზიციის ლიდერებს "დასავლური" იდეების მხარდაჭერაში ადანაშაულებდა, რომლებიც თითქოს ტრადიციულ ქართულ ღირებულებებს და იდენტობას უქმნიდნენ საფრთხეს. "ქართული ოცნება" წინასაარჩევნო კამპანიაში საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების მნიშვნელობას უსვამდა ხაზს, აღნიშნული კანონმდებლობის კონსტიტუციაში ასახვის მიზნით.

შევიწროება, დაშინება, მიზანმიმართული ძალადობა

სამოქალაქო საზოგადოების ლიდერების, მათ შორის წამყვანი სამოქალაქო ჯგუფების წარმომადგენლების, აქტივისტებისა და ჟურნალისტების მიმართ შევიწროებისა და დაშინების ფაქტები საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე რამდენიმე თვის განმავლობაში ხორციელდებოდა. უცხოური გავლენის და გამჭვირვალობის შესახებ კანონის წინააღმდეგ მომიტინგეების მიმართ გამოყენებული ცრემლსადენი გაზისა და წყლის ჭავლის გარდა, რიგი სამოქალაქო და პოლიტიკური ლიდერების მიმართ ხორციელდებოდა ძალადობა. მათ შორის დაფიქსირდა საცხოვრებელ სახლებთან ცემის, სხვადასხვა დაჯგუფებების მიერ თავდასხმებისა და სხვა ფორმის ძალის გამოყენების ფაქტები. ამასთან, აღნიშნული სამოქალაქო საზოგადოების ლიდერების სახლებსა და ოფისებთან გამოკრული იყო პლაკატები წარწერით „უცხოეთის აგენტები“ და „მოღალატეები“. საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას ტრადიციულ და ონლაინ მედია საშუალებებში სამოქალაქო საზოგადოების ლიდერები ხშირად მოიხსენიებოდნენ, როგორც პროპაგანდისტები, რევოლუციონერები, რადიკალები, ან/და „გლობალური ომის პარტიის“ წარმომადგენლები. დაშინების მიზნით განხორციელდა ანონიმური სატელეფონო ზარების კამპანია, რომლის სამიზნეც ყველა წამყვანი სამოქალაქო და დემოკრატიის თემებზე მომუშავე აქტივისტი და მათი ოჯახის წევრები აღმოჩდნენ. ქართული ოცნება ხშირად აქვეყნებდა განცხადებებს, სადაც ეჭვი შეჰქონდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და მათი ლიდერების ლეგიტიმურობაში, მიუკერძოებლობასა და პატრიოტიზმში.[26] სექტემბრის დასაწყისში ქართულმა ოცნებამ სატელევიზიო კლიპის გაშუქება დაიწყო,

[26]ttps://info.imedi.ge/en/politics/3179/parliament-speaker-denounces-certain-politically-affiliated-civil-society-organisations-media-outlets-for-falsely-claiming-independence-while-actively-engaging-in-political-activism

სადაც სამოქალაქო საზოგადოების შვიდ ლიდერს, მათ შორის, ლგბტქი+ ჯგუფების წარმომადგენლებს, მორალური დეგრადაციის სიმბოლოებად მოიხსენიებდა.[27] წინასაარჩევნო პერიოდში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და უფლებადამცველთა მიმართ განხორციელებულმა დაშინებამ, შევიწროებამ და ძალადობამ მთლიანი პროცესის სანდოობას ძირი გამოუთხარა.

ამომრჩეველთა განათლება და მოქალაქეებთან ურთიერთობა

მნიშვნელოვანი გამოწვევების მიუხედავად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დიდი ნაწილი ამომრჩევლების განათლებასა და ინფორმირებაში ჩაერთო, მათ შორის ისეთ თემებზე, როგორიცაა: არჩევნებში მონაწილეობის მნიშვნელობა, ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება ელექტრონულ ტექნოლოგიებსა და ხმის ფარულობასთან დაკავშირებული მცდარი წარმოდგენების გაბათილება. უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის წინააღმდეგ აქციების მუხტის საპასუხოდ, ყურადღება დაეთმო ახალგაზრდებისა და არჩევნებზე პირველად მიმავალი ამომრჩევლის ჩართულობის გაზრდას. ამასთან, არსებული სადამკვირვებლო მისიების გარდა, აქციების შემდგომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა სამოქალაქო სადამკვირვებლო ჯგუფების მობილიზაციისა და გადამზადებისთვის რამდენიმე ქსელი შექმნა, რომლებიც არჩევნების დღეს დააკვირდნენ, მათ შორის კოალიცია „ჩემი ხმა ევროპას“.

მედია და საინფორმაციო გარემო

პრესისა და სიტყვის თავისუფლების საფრთხეები

საქართველოს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების მედია გარემო თვითცენზურით, პოლიტიკური გავლენებითა და პროპაგანდით ხასიათდება. იქედან გამომდინარე, რომ კანონი უცხოური გავლენის და გამჭვირვალობის შესახებ მედია ორგანიზაციებსაც ეხება, კანონის მიღებამ საგრძნობლად დააზარალა მედიის თავისუფლება და საინფორმაციო გარემო და გაურკვევლობა შეუქმნა დამოუკიდებელ და კრიტიკულ მედიას ქვეყნის მასშტაბით. აღნიშნულმა კანონმა კრიტიკულ მედია საშუალებებს ფინანსური წნეხი შეუქმნა და კანონის მეშვეობით განსხვავებული აზრის ჩახშობის შიში გააჩინა.

[27] სამოქალაქო საზოგადოების შვიდ ლიდერს შორის არის ლგბტქი+ აქტივისტები და ორი ქალი, რომლებიც სათავეში სადამკვირვებლო ორგანიზაციას და ახლად-შექმნილ სამოქალაქო სადამკვირვებლო კოალიციას „ჩემი ხმა ევროპას“ უდგანან სათავეში.

დამოუკიდებელი მედიასაშუალებების უმრავლესობამ უარი განაცხადა დაემორჩილოს კანონს უცხოური გავლენის და გამჭვირვალობის შესახებ. ამასთან, ბევრმა აღნიშნა ნეგატიური გავლენა, რომელსაც კანონით გათვალისწინებული ჯარიმა იქონიებს მათ საქმიანობაზე, ასეთის დაკისრების შემთხვევაში. აღნიშნულმა კანონმა გაამძაფრა ის ფინანსური გამოწვევები, რომელსაც კრიტიკული მედიასაშუალებები - განსაკუთრებით, რეგიონული მედია ორგანიზაციები - უკვე აწყდებოდნენ. არაერთმა მედიასაშუალებამ განაცხადა, რომ ბევრმა ბიზნესმა გააუქმა სარეკლამო დაკვეთები, სავარაუდოდ, მთავრობის მხრიდან ზეწოლის გამო, რამაც ისინი კიდევ უფრო დამოკიდებული გახადა უცხოურ დაფინანსებაზე. მედია უფლებებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები აღნიშნულ კანონს SLAPP[28] საჩივრების ჩანაცვლების მექანიზმად მიიჩნევენ, რაც კრიტიკული მედიის ჩასახშობად კიდევ უფრო ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს.

მთავრობის წარმომადგენლების მიერ კრიტიკული მედიის მიმართ მტრულმა რიტორიკამ ხელი შეუშალა ჟურნალისტებისთვის უსაფრთხო და დაცული გარემოს უზრუნველყოფას. ჟურნალისტები დაშინების და საფრთხის შემცველი ინციდენტების უამრავ ფაქტზე საუბრობენ, როგორიცაა: თვალთვალი, შევიწროება და ფიზიკური ძალადობა, მათ შორის უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის წინააღმდეგ საპროტესტო აქციების დროს.[29] მთავრობის მხრიდან მედიის მიმართ მტრული დამოკიდებულება, რომელსაც მთავრობის ოფიციალური პირები აჟღერებდნენ, წინასაარჩევნო პერიოდში ჟურნალისტების იზოლირებასა და ქართული საზოგადოებისთვის დაბალანსებულ და სრულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვას ემსახურებოდა.

მედია გარემო

წამყვანი მედიასაშუალებები ცალსახად ქართული ოცნებისა და მთავრობის ან ოპოზიციური პარტიების პოზიციებს აჟღერებდნენ. მთავრობასთან დაკავშირებულ მედიასაშუალებებს ხშირად მთავრობის მხარდამჭერი პროპაგანდის გავრცელებაში ადანაშაულებდნენ, ხოლო ოპოზიციასთან დაკავშირებული მედია ძლიერი წნეხის ქვეშ

[28] Strategic Lawsuit Against Public Participation
[29] CMIS Report: Safety of Journalists before the 2024 Elections

ექცეოდა, მათ შორის ჯარიმებისა და სამართლებრივი საფრთხეების სახით. პოლიტიკური სპექტრის სხვადასხვა წარმომადგენლები არ თანამშრომლობდნენ ისეთ მედიასაშუალებებთან, რომლებიც მათ აზრს არ იზიარებდნენ. ბოლო წლებში მთავრობის წარმომადგენლები ხშირად უარს ამბოდნენ მედიასაშუალებების მოწვევებზე,[30] რაც საზოგადოებას დაბალანსებულ დებატებსა და საკვანძო საკითხების კრიტიკულ მიმოხილვაზე წვდომას უზღუდავდა. ამასთან, ტელეკომპანია „იმედის“ ხელმძღვანელობა მუდმივად აკეთებდა განცხადებებს იმის შესახებ, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა არ დაიშვება მათ არხზე და ამ პოლიტიკური ძალის დამარცხება ტელეკომპანიის პირველადი ამოცანაა.[31] აღნიშნულ განცხადებებზე შესაბამისი მონიტორინგის ორგანოებისგან არ მომხდარა რეაგირება. 21 ოქტომბერს საზოგადოებრივ მაუწყებელზე პირველ წინასაარჩევნო დებატებში მონაწილეობა მიიღეს ქართულმა ოცნებამ, პატრიოტთა ალიანსმა, გირჩმა და ევროპელმა დემოკრატებმა, ხოლო ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ და კოალიციამ ცვლილებებისთვის უარი განაცხადეს დასწრებაზე.

პოლიტიკურ რეკლამებთან დაკავშირებული დავები ერთგვარ გამოწვევას წარმოადგენდა კომუნიკაციების კომისიისთვის, როგორც მედია გარემოს მარეგულირებელი ორგანოსთვის, რადგან ოპოზიციის და მთავრობის მხარდამჭერი მედიასაშუალებები უარს აცხადებდნენ ზოგიერთი პოლიტიკური რეკლამის გაშვებაზე სხვადასხვა მიზეზით. მიუხედავად არსებული წარმოდგენებისა კომუნიკაციების კომისიის მიკერძოებულობის შესახებ ოპოზიციური და დამოუკიდებელი მედიის მიმართ, კომისიამ საბოლოო ჯამში ორივე მხარის ტელეკომპანიები დააჯარიმა. ამასთან, პარტიამ „საქართველოსთვის“ განაცხადა, რომ კომუნიკაციების კომისიამ დაუბლოკა კვალიფიციური სტატუსის და უფასო პოლიტიკური რეკლამის შესაძლებლობა, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი გამოკითხვების მიხედვით, საარჩევნო კოდექსის თანახმად, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა და ტელეკომპანია „ფორმულამ“ პარტიას აღნიშნული სტატუსი მიანიჭეს. აღნიშნული ფაქტი ეჭვს აჩენს კომისიის მიერ საარჩევნო კოდექსის შერჩევით აღსრულებაზე.

[30] CMIS Report: Access to Public Information 2023-2024

[31] მაგალითად: Imedi TV owner highlights TV company’s raison d'être as not to allow United National Movement party, its affiliates to return to power (23 September 2024)

2024 წლის საპარლამენტო არჩევნების საინფორმაციო გარემო ხასიათდებოდა მუქარებითა და მტრული დამოკიდებულებით, რაც კარგად ჩანს ქართული ოცნების მიერ წარმოდგენილ ნარატივში, რომლის მიხედვით ოპოზიციის გამარჯვება რუსეთთან ომს ნიშნავს, ხოლო ოპოზიცია უცხოურ ინტერესებს ემსახურება. ამასთან, იგივე ნარატივი სამოქალაქო ორგანიზაციებს, დასავლურ ორგანიზაციებსა და საქართველოში მოქმედ უცხო ქვეყნის საელჩოებს რევოლუციის დაგეგმვაში სდებს ბრალს. უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონმა დამოუკიდებელი მედიის და ფაქტების გადამოწმების ორგანიზაციების მუშაობა შეაფერხა და იძულებული გახადა, ადამიანური და ფინანსური რესურსები სათადარიგო ზომების მიღებასა და იურიდიულ დახმარებაზე მიემართა. ამან საგრძნობლად შეაფერხა მცდარ ინფორმაციაზე ეფექტური რეაგირება წინასაარჩევნო პერიოდში, განსაკუთრებით სოფლის ტიპის დასახლებებში, სადაც ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა შეზღუდულია.

24 ოქტომბერს, არჩევნებამდე სამი დღით ადრე, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა Atlantic Council-ის თანამშრომლების სახლებში ჩხრეკა ჩაატარა. ამერიკული ორგანიზაცია საქართველოში რუსეთის მიერ დეზინფორმაციის სქემებს იკვლევს. სამინისტროს განმარტებით, ჩხრეკა Atlantic Council-ის დასაქმების ხელშეკრულებებთან დაკავშირებული გადასახადების თავის არიდების გამოძიების ფარგლებში ჩატარდა. თანამშრომლების თქმით, სამინისტროს წარმომადგენლებმა მათ არ უთხრეს ვიზიტის რეალური მიზანი და მოახდინეს სამუშაო ტექნიკის კონფისკაცია, რაც აღნიშნული მოქმედებების რეალურ მოტივაციას (განსაკუთრებით ოპერაციის ჩატარების დროის გათვალისწინებით) ეჭვქვეშ აყენებს.

სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში ჩატარებული სოციალური მედიის მონიტორინგი ცხადყოფს შევიწროების მიზანმიმართულ მცდელობებს, რაც წინასაარჩევნო პერიოდში არსებული დაშინების და მტრული განწყობის ტენდენციებს აძლიერებდა. მისიის მიერ ჩატარებული მედია მონიტორინგის ფარგლებში გამოჩნდა, რომ Facebook-ზე განთავსებული შეურაცხმყოფელი შინაარსის მატარებელი ტერმინოლოგიის 90 პროცენტი სამოქალაქო საზოგადოებისა და ოპოზიციური პარტიების წინააღმდეგ იყო. აღნიშნული ნარატივი მათ ქართული იდენტობის და ტრადიციული ფასეულობების საფრთხედ

შერაცხავდა და საზოგადოების დანაწევრებაში, უცხოური გავლენის გატარებაში და ეროვნული ერთიანობის და სტაბილურობის წინააღმდეგ პროვოკაციულ ქმედებებში ადანაშაულებდა. მედიასაშუალებები იმედი და POS-TV და სამთავრობო ონლაინ პორტალები „რეპორტიორი“, „ფაქტები და არჩევანი“ და „კვირა“ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების და ოპოზიციური პარტიების წინააღმდეგ შეურაცხმყოფელი ენის შემცველ ყველაზე მეტ პოსტს აქვეყნებდნენ და აღნიშნული ჯგუფების დისკრედიტაციის ერთიან კამპანიას წარმოდგენდნენ. აღსანიშნავია, რომ დეზინფორმაციის ონლაინ კამპანიების უმეტესობა ქვეყნის შიგნით შეიქმნა, თუმცა, ISFED-მა წინასაარჩევნო გარემოს სოციალური მედიის მონიტორინგის პროგრამის ფარგლებში Facebook-სა და X-ზე რამდენიმე კრემლთან დაკავშირებული ქსელი გამოავლინა.

გენდერი და ინკლუზია

საზოგადოების სხვადასხვა სამოქალაქო ჯგუფების ჩართულობა და მონაწილეობა დემოკრატიის საკვანძო კომპონენტია. ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღებამდე ქართულმა ოცნებამ ინკლუზიის საკითხებზე, მათ შორის ქალთა ინკლუზიის მიმართულებით, არაერთი ზომა მიიღო. მათ შორისაა საპარლამენტო კანდიტატთა სიებში გენდერული კვოტები, კანონმდებლობის გენდერული ზეგავლენის შეფასება და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საკანონმდებლო ნაბიჯები. თუმცა, არჩევნებამდე ერთი წლით ადრე, ქართული ოცნების მიერ ამ კურსის უცაბედმა ცვლილებამ მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობაზე ნეგატიური გავლენა მოახდინა.

გენდერი

ქალები საქართველოში რეგისტრირებული ამომრჩევლის 53 პროცენტს წარმოადგენენ და დიდი ხანია, რაც სამოქალაქო საზოგადოებაში წამყვან პოზიციებს იკავებენ. ბოლო წლებში ისინი უფრო აქტიურ როლს თამაშობენ პოლიტიკაში, მიუხედავად იმისა, რომ მათი რიცხვი ჩამოუვარდება კაცების წარმომადგენლობას. 2023 წელს გენდერული კვოტები 2032-მდე გაგრძელდა, ხოლო 2024 წლის აპრილში - დაჩქარებული წესით გაუქმდა.[32] წელს

[32]კვოტები 2020 წელს დამტკიცდა და საარჩევნო სიაში ყოველ ოთხ კანდიდატში ერთი ქალი კანდიდატის, ხოლო 2021 წლის მუნიციპალურ სიებში სამ კანდიდატში ერთი ქალი კანდიდატის ვალდებულებას აკისრებდა.

1185 კანდიდატიდან 343 იყო ქალი, რაც 29.8 პროცენტს წარმოადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი შემცირებულია 2020 წელთან შედარებით, როდესაც ქალთა პროცენტული მაჩვენებელი 44.3 პროცენტი იყო. მიუხედავად ამ ცვლილებისა, რამდენიმე პარტიამ უფრო დიდი ნაბიჯები გადადგა კანდიდატთა სიაში ქალთა წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად. 18 რეგისტრირებული სიიდან სამს სათავეში ქალი ედგა - მათ შორის, ორ ოპოზიციურ გაერთიანებას: ერთიანობა ნაციონალური მოძრაობას და კოალიცია ცვლილებებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ არცერთ პარტიაში არ იყო თანაბარი გენდერული მაჩვენებელი, ზოგმა ოპოზიციურმა პარტიამ თავად დააწესა შიდაპარტიული გენდერული კვოტები და ქალთა წარმომადგენლობა 23.4 პროცენტიდან 43 პროცენტამდე გაზარდა.[33] ქართული ოცნების კანდიდატთა სიაში 20 პროცენტზე ნაკლები კალი კანდიდატი იყო.

ეთნიკური უმცირესობები

ეთნიკური უმცირესობები, კერძოდ, სომეხი და აზერბაიჯანელი თემი, საქართველოს მოქალაქეების 13.2 პროცენტს წარმოადგენენ.[34] მიუხედავად ამისა, მათი პოლიტიკური მონაწილეობა - როგორც კანდიდატების, ამომრჩევლების და აქტივისტების - კვლავ დაბალია. ქართული ენის არცოდნა, განსაკუთრებით, უფროს თაობაში და საქართველოში სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე მედია საშუალებების სიმცირე ხელს უწყობს აღნიშნული ჯგუფების მარგინალიზაციას.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე ბიულეტენები და სხვა საარჩევნო მასალები 308 უბანსა და 12 ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ ოლქში უზრუნველყო. ამასთან, ცესკომ დიდი ოდენობით ვიდეო და ბეჭდური მასალა დაამზადა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. მიუხედავად ამისა, სხვადასხვა აქტორების თქმით,

[33]გახარია საქართველოსთვის პარტიულ სიაში 43% ქალია, ძლიერი საქართველო 30%, კოალიცია ცვლილებებისთვის 28% და ერთიანობა ნაციონალური მოძრაობა 24%.

[34]2014 აღწერის მიხედვით, მოსახლეობის 6.3% ეთნიკური აზერბაიჯანელი, 4.3% ეთნიკური სომეხი, 2.4% ქისტი, უდისი, ავარი, ასურელი, ოსი, იეზიდი, ქურთი, უკრაინელი, რუსი, ებრაელი და რომა. შემდეგი აღწერა 2024 წლის ნოემბერში ჩატარდება.

აღნიშნული მასალები ისეთი მედიასაშუალებების მიერ გავრცელდა, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა არ იყენებს.[35]

PMMG-ის თანახმად, კანდიდატებს შორის ეთნიკური უმცირესობის 56 წარმომადგენელი (მათ შორის, 16 ქალი) 14 პარტიისა და კოალიციის სიაში მოხვდნენ. ეთნიკური უმცირესობების პარტიულ სიებში მოხვედრის მიუხედავად, ჩართული მხარეების თქმით, სპეციალური ზომების მიღების გარეშე ახალი, სრულად პროპორციული, ერთმანდატიანი საარჩევნო სისტემა უმცირესობის წარმომადგენლებს უარეს მდგომარეობაში აყენებს.

შშმ პირები

მიუხედავად წინგადადგმული ნაბიჯებისა, შშმ პირები უამრავ გამოწვევას აწყდებიან სამოქალაქო და საარჩევნო უფლებებით სარგებლობისას. ცესკომ მრავალმხრივი ნაბიჯები გადადგა შშმ პირებისთვის საინფორმაციო ბარიერების მოსახსნელად და ხელმისაწვდომობის გასაზრდელად, მათ შორის: ცესკოს მიერ დამზადებულ ყველა ვიდეოს ახლდა სურდო თარგმანი; საარჩევნო კომისიის წევრების ტრენინგი შშმ პირების მხარდაჭერის მოდულებს მოიცავდა; ცესკომ შეიმუშავა მარტივად წასაკითხი არჩევნების გზამკვლევი და პოსტერები, მათ შორის QR კოდი აუდიო და სურდო ფორმატისთვის ინტელექტუალური და სენსორული დარღვევების მქონე მოქალაქეებისთვის.

მიუხედავად აღნიშნული მცდელობებისა, ეტლით მოსარგებლეებს კვლავ შეზღუდული წვდომა ჰქონდათ საარჩევნო უბნებზე. თუმცა, მათ საარჩევნო უბნის შეცვლისა და მათივე ოლქში ადაპტირებულ საარჩევნო უბანზე გადაწერის საშუალება მიეცათ. სულ ფიქსირდება 348 ადაპტირებული საარჩევნო უბანი (3031 უბნიდან 11 პროცენტი) და 916 უბანი - ხელმისაწვდომი პანდუსით. ადაპტირებული და ხელმისაწვდომი ტრანსპორტის ნაკლებობის გამო, ბევრმა შშმ პირმა განაცხადა, რომ ისინი გადასატან ყუთს ამჯობინებენ, თუმცა, აღნიშნულმა მეთოდმა შესაძლოა დაარღვიოს მათი ხმის ფარულობა. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე პოლიტიკური პარტიის პროგრამაში ნახსენებია შშმ პირების

[35]საზოგადოებრივი მაუწყებელს არ უყურებენ სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე მოსაუბრე მოქალაქეები, რადგან გადაცემები არის ქართულ ენაზე. ადგილობრივი რადიო და ონლაინ მედიასაშუალებები ქვემო ქართლში ცესკოს საინფორმაციო მასალების აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე ხელმისაწვდომობის პრობლემას ასახელებენ, მათ შორის არჩევნებამდე 10 დღით ადრე. https://aktual.ge/Read/42134

ინკლუზიის საკითხები, შშმ უფლებადამცველები შშმ საკითხებზე კონკრეტული ხედვის ნაკლებობას აღნიშნავენ.

არჩევნების დღე

არჩევნების დღეს ამომრჩეველთა დიდი რაოდენობა დაფიქსირდა, თუმცა, ძირითად შემთხვევებში რიგები მოწესრიგებული იყო და უბნებში, სადაც დაკვირვება მიმდინარეობდა, სიმშვიდე აღინიშნებოდა. დღის განმავლობაში ცესკო აქვეყნებდა ამომრჩეველთა აქტივობის მაჩვენებელს, რომელიც აღემატებოდა წინა არჩევნების აქტივობას. აღნიშნული მაჩვენებელი მოწმდებოდა ISFED-ის ხმის პარალელური დათვლის (PVT) მეთოდოლოგიით.

NDI-ის დამკვირვებლების თქმით, ხმის მიცემის პროცესი ქვეყნის მასშტაბით მეტწილად კანონის თანახმად მიმდინარეობდა. უბნებზე, სადაც NDI-ის მიერ დაკვირვება მიმდინარეობდა, თვალსაჩინოდ იყო გამოქვეყნებული არჩევნების დღის პროცედურები, ამომრჩეველთა სია და ოქმები. NDI-ის დამკვირვებელთა უმეტესობამ აღნიშნეს, რომ ამომრჩევლებს მიეწოდებოდათ სრულყოფილი და ზუსტი განმარტება ხმის მიცემის პროცედურასა და ახალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით. რამდენიმე შემთხვევაში ბიულეტენის შევსებისას დაფიქსირდა პრობლემები. ამავდროულად, ზოგ შემთხვევაში მოქალაქეებს გაუჭირდათ ბიულეტენის ხმის დათვლის აპარატში მოთავსება. მიუხედავად მცირედი პრობლემებისა ელექტრონულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით, აღნიშნული საკითხები ძირითად შემთხვევაში დროულად აღმოიფხვრა და არჩევნების პროცესზე მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია.

მიუხედავად ამისა, საერთაშორისო და ადგილობრივმა დამკვირვებლებმა საარჩევნო უბნებზე კრიტიკული ინციდენტების გაზრდილი მაჩვენებელი დააფიქსირეს, რაც უმეტესწილად ამომრჩეველზე გავლენის მოხდენას ემსახურებოდა. იყო რამდენიმე საყურადღებო შემთხვევა ჯგუფური ხმის მიცემის, საარჩვენო უბანზე გარეშე პირების შეჭრის, ამომრჩევლისთვის მითითების მიცემის თუ ვის უნდა მისცეს ხმა და საარჩევნო ყუთის დალუქვის პროცედურის დარღვევის. ამასთან, NDI-ის დამკვირვებლებმა აღნიშნეს ქართული ოცნების მიერ საარჩევნო უბნებზე კამერების გამოყენება, რომლებიც რიგ შემთხვევებში საარჩევნო კაბინისა და ხმის დათვლის აპარატზე იყო მიმართული. მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო კოდექსის თანახმად საარჩევნო უბანზე ვიდეო-

გადაღება ნებადართულია იმ შემთხვევაში, თუ ხმის ფარულობა უზრუნველყოფილია, აღნიშნული ფაქტი სავარაუდოდ ამომრჩევლის დაშინებას ემსახურებოდა. ამასთან, ზოგის თქმით კამერები ცესკოს ეკუთვნოდა, ხოლო ცესკომ არ დაადასტურა აღნიშნული ინფორმაცია დილით გამართულ პრეს კონფერენციაზე, რამაც დამატებითი დაბნეულობა გამოიწვია.

საარჩევნო უბნების ხელმისაწვდომობა ისევ პრობლემას წარმოადგენს, თუმცა, შშმ პირებს საარჩევნო ყუთის გამოყენებისა და ადაპტირებულ უბნებზე რეგისტრაციის შესაძლებლობა ჰქონდათ.

NDI-ის დამკვირვებლებმა შერჩეული უბნების უმეტესობაში პარტიების წარმომადგენლების და სამოქალაქო სადამკვირვებლო ჯგუფების დასწრება აღნიშნეს. ცესკომ დაახლოებით 23000 დამკვირვებელი დაარეგისტრირა, აქედან - 111 ადგილობრივი ორგანიზაცია, 1700 - დამკვირვებელი 76 საერთაშორისო ორგანიზაციიდან და 2800 წევრი 199 მედია ორგანიზაციიდან.[36] ამასთან, აკრედიტებული იყო 21,318 პარტიის წარმომადგენელი 18 საარჩევნო სუბიექტიდან.

რეკომენდაციები

NDI-ის სადამკვირვებლო მისიას მიაჩნია, რომ აუცილებელია, ადგილობრივმა ჩართულმა მხარეებმა მყისიერად უპასუხონ საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებულ გამოწვევებს და მოიპოვონ საზოგადოების ნდობა. პლურალიზმისა და ინკლუზიური არჩევნების გაძლიერების მიზნით მისია, საერთაშორისო თანამშრომლობის სულისკვეთებით, შემდეგ რეკომენდაციებს გასცემს:

ღია სამოქალაქო და პოლიტიკური სივრცე

- პარლამენტმა დაუყოვნებლივ გაიწვიოს კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, რათა აღმოფხვრას მისი დამანგრეველი გავლენა დამოუკიდებელ მედიასა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე და საკანონმდებლო ჩარჩოს გაძლიერებით უზრუნველყოს როგორც შეკრების, გაერთიანებისა და გამოხატვის თავისუფლების, ასევე საზოგადოებრივ პროცესებში მოქალაქეების მონაწილეობის უფლებების დაცვა. ეს საერთაშორისო

[36] https://cesko.ge/en/siakhleebi/pres-relizebi/singleview/11035020-tseskos-tavmjdomaris-shemajamebeli-brifing

სტანდარტების მიხედვით, დემოკრატიული არჩევნებისა და პროცესების საფუძველს წარმოადგენს.

- პოლიტიკურმა და სამთავრობო აქტორებმა არ წაახალისონ და არ უგულებელყონ ნებისმიერი სახის ძალადობა, მიმართული პოლიტიკური შეხედულებების, მათ შორის, არჩევნების შედეგებით უკმაყოფილების გამოხატვის პროცესებში ჩართული ადამიანების წინააღმდეგ. ძალადობის ავტორებმა პასუხი უნდა აგონ და მათი ქმედებები არ უნდა წახალისდეს.
- მიუკერძოებელმა უწყებებმა განიხილონ პოლიტიკური აქტორების მიერ ჩადენილი შესაძლო დარღვევები. პოლიტიკურმა ლიდერებმა არ გაავრცელონ ინდივიდების წინააღმდეგ მიმართული მუქარები.
- პარლამენტმა გაიწვიოს კანონი "ოჯახური ღირებულებების და არასრუწლოვანთა დაცვის შესახებ", რომელიც აძლიერებს კონკრეტული ჯგუფების დისკრიმინაციას და ზღუდავს გაერთიანების, გამოხატვისა და მშვიდობიანი შეკრების უფლებებსა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, რაც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს არღვევს.
- საერთაშორისო საზოგადოებამ განაგრძოს ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფების მხარდაჭერა, რათა მათ იმუშაონ 2024 წლის საარჩევნო პროცესებში გამოვლენილ ნაკლოვანებებზე ადმინისტრაციული რესურსის არაკეთილსინდისერი გამოყენების, კამპანიის დაფინანსების, ძალადობის, კანონის უზენაესობის, მედიისა და დეზინფორმაციის კამპანიების მიმართულებით.
- პარლამენტმა შეიმუშავოს ჟურნალისტებისა და სამოქალაქო ჯგუფების სამოქალაქო უფლებების დაცვის მკაცრი საკანონმდებლო მექანიზმები მათი შეურაცხყოფის, თვალთვალისა და ძალადობის თავიდან ასარიდებლად; უზრუნველყოს მსგავს ქმედებებზე ანგარიშვალდებულება მეტი უსაფრთხოებისთვის, განსაკუთრებით საპროტესტო მსვლელობებისა და პოლიტიკური ღონისძიებების მიმდინარეობისას.

ანგარიშვალდებული, კონსტრუქციული პოლიტიკური პლურალიზმი და კამპანიები

- არჩევნების შემგომ პერიოდში პოლიტიკურმა ლიდერებმა ტოლერანტობისა და კონსტრუქციული დისკუსიების მაგალითით ცხადად დაადასტურონ მათი მზაობა დემოკრატიული პლურალიზმის მიმართ. პოლიტიკურმა აქტორებმა და პარტიების ლიდერებმა არ გააჟღერონ და დაგმონ მტრული ენა.
- ყველა პარტია, რომელმაც საპარლამენტო არჩევნებში ბარიერი გადალახა, მათი ამომრჩევლების სახელით აქტიურად ჩაერთოს საპარლამენტო საქმიანობაში.

- პარტიებმა და კანდიდატებმა ცხადად დაადასტურონ კანონისადმი ერთგულება, რაც მოიცავს, მათ შორის, ადმინისტრაციული რესურსის არაკეთილსინდისიერად გამოყენების, ძალადობის, ამომრჩევლების დაშინებისა და მოსყიდვის დაგმობას; ეს პრინციპები გააჟღერონ ფიზიკურ და ციფრულ სივრცეში და დაიცვან პარტიის ადმინისტრაციის ყველა დონეზე, მათ შორის, შიდაპარტიული სანქციებისა და ანგარიშვალდებულების კულტურის შემუშავებით.
- პარტიებმა და კანდიდატებმა უზრუნველყონ, რომ მათი მხარდამჭერები არ ჩაერევიან მათი ოპონენტების კამპანიებში და ხელს არ შეუშლიან ადგილობრივი ან საერთშორისო დამკვირვებლების საქმიანობას.
- პოლიტიკური პარტიების ლიდერებმა და აქტივისტებმა, სანდო ადგილობრივი და საერთაშორისო სადამკვირებლო ორგანიზაციების ანგარიშების მიგნებებისა და პარალელური დათვლის შედეგების შესაბამისად, პატივი სცენ არჩევნების შედეგებს.

დამოუკიდებელი სამთავრობო და საზედამხედველო ინსტიტუტები

- პარტიების, მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების შემადგენლობით შეიქმნას ჯგუფი, რომელიც არჩევნების შემდგომ საფუძველს ჩაუყრის საარჩევნო კანონმდებლობის კონსესუსზე დაფუძნებულ რეფორმის პროცესს და გაითვალისწინებს ეუთო/ოდირის, ვენეციის კომისიის, 2021 წელს მიღებული შარლ მიშელის შეთანხმების და სხვა საერთშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ გაცემულ რეკომენდაციებს.
- პარლამენტმა შეიმუშაოს საკანონმდებლო რეფორმა, რომელიც საჯარო მოხელეების ან ადმინისტრაციული რესურსის საარჩევნო კამპანიისთვის გამოყენების თავიდან არიდების მიზნით სახელმწიფო მართვასა და პოლიტიკური პარტიის საქმიანობას მკაფიოდ გამიჯნავს. მთავრობამ განახორციელოს მონიტორინგის უფრო ეფექტური მექანიზმები.
- მთავრობამ, ცესკომ და პარლამენტმა გადახედოს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის მისიას და განიხილოს უფრო ეფექტიანი, დროული და ღია მექანიზმის შექმნის შესაძლებლობა იმისთვის, რომ უპასუხოს და, სადაც შესაძლებელია, გამოიყენოს სანქციები ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების და ამომრჩევლების მოსყიდვისა და დაშინების შესახებ არსებულ საჩივრებზე.
- კამპანიის დაფინანსების მონიტორინგის მანდატის მქონე უწყებებმა მათი როლი მიუკერძოებლად განახორციელონ და წესები თანაბრად და გამჭვირვალედ გაავრცელონ როგორც მმართველ, ასევე ოპოზიციურ პარტიებზე.

საარჩევნო ადმინისტრაციის დამოუკიდებლობა და გამჭვირვალობა

- ცესკომ ჩაატაროს დამატებითი ტრენინგი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის დამკვირვებლების უფლებების შესახებ და ხაზი გაუსვას ყველა დადგენილი პროცედურის მკაცრი და თანმიმდევრული გამოყენების საჭიროებას, მათ შორის კენჭისყრის უბანზე არაუფლებამოსილ პირებთან, კენჭისყრის საიდუმლოებასა და ამომრჩეველთა დაშინებასთან დაკავშირებით.
- ცესკომ უკან წაიღოს გადაწყვეტილება კენჭისყრის დღემდე წილისყრის შესახებ და დაუბრუნდეს შერჩევის ჩატარებას არჩევნების დღეს, რაც უფრო გამჭვირვალე პროცესია დამკვირვებლებისთვის და საარჩევნო კოდექსთანაც მოდის შესაბამისობაში.

ინკლუზიური არჩევნები

- პარლამენტმა აღადგინოს გენდერული კვოტები საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, ასევე ფინანსური წახალისება პოლიტიკური პარტიებისთვის, რომლებიც აჭარბებენ თავიანთ კანდიდატთა სიებში არსებულ გენდერულ კვოტებს.
- გენდერული კვოტის არარსებობის პირობებში, პოლიტიკურმა პარტიებმა შემოიღონ შიდა პარტიული კვოტები და დანერგონ ეს პრაქტიკა ქალების მონაწილეობის გაზრდის მიზნით.
- პარლამენტმა განიხილოს დროებითი სპეციალური ზომების შემოღება სრული პროპორციული სისტემის ფარგლებში პარლამენტში ეთნიკური უმცირესობების მეტი წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად.
- ყველა მედიასაშუალებამ განიხილოს არჩევნებთან დაკავშირებული ყველა პროგრამის ჟესტების ენაზე თარგმნის, ასევე სომხური და აზერბაიჯანული თარგმანის შეთავაზება. თანხები გამოიყოს უმცირესობების ენაზე მაუწყებლობის გაზრდის შესაძლებლობაზე.
- ეთნიკურ უმცირესობათა თემებში საარჩევნო და პოლიტიკური ცნობიერების ამაღლების მიზნით, პოლიტიკურმა პარტიებმა და არჩეულმა თანამდებობის პირებმა მთელი წლის განმავლობაში აწარმოონ ეთნიკურ უმცირესობებზე მიმართული კომუნიკაციის კამპანიები, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების ენებზე.

მრავალფეროვანი და თავისუფალი საინფორმაციო გარემო

- მედიასაშუალებებსა და ჟურნალისტებს მიეცეთ საშუალება, შეასრულონ თავიანთი ლეგიტიმური ფუნქციები და განახორციელონ თავისი უფლებები ჟურნალისტური ეთიკის დაცვით, მთავრობის ჩარევის, შევიწროების ან თვითნებური, გაუმართლებელი ან ზედმეტად მძიმე შეზღუდვების გარეშე. ხელისუფლება ზედმიწევნით მოერიდოს მუქარას ან ნაბიჯებს, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მედიის დამოუკიდებლობაში პოლიტიკურად მოტივირებულ ჩარევად.
- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ (ComCom) კანონები მედიის მიმართ თანმიმდევრულად და თანაბრად გამოიყენოს.
- ტექნოლოგიურმა კომპანიებმა ქმედითი ნაბიჯები გადადგან ადამიანის უფლებათა დამცველების მხარდასაჭერად, შეაჩერონ შევიწროება ონლაინ სივრცეში და აღკვეთონ მათი ონლაინ პლატფორმებიდან მისინფორმაცია/დეზინფორმაცია.
- ამომრჩეველთა დაბალანსებულ და სანდო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, პოლიტიკურმა პარტიებმა და კანდიდატებმა მიიღონ მონაწილეობა ყველა ხელმისაწვდომ დებატებსა და პოლიტიკურ პროგრამაში, რათა წარუდგინონ თავიანთი პოლიტიკა და გეგმები საზოგადოებას.

მისიის შესახებ

სადამკვირვებლო მისია თბილისში 21 ოქტომბერს ჩამოვიდა და შეხვედრები პოლიტიკურ ლიდერებთან, საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, თანამდებობის პირებთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, მედიასთან და დიპლომატიურ კორპუსთან გამართა. 24 ოქტომბერს, დამკვირვებლები 13 ჯგუფად საქართველოს 10 რეგიონს ესტუმრნენ, სადაც ისინი ადგილობრივ კამპანიის გუნდებს, საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, სადამკვირვებლო ჯგუფებს, მედიასა და სამოქალაქო საზოგადოების ლიდერებს შეხვდნენ. არჩევნების დღეს, NDI-ის სადამკვირვებლო ჯგუფები ხმის მიცემისა და დათვლის პროცესებს საარჩევნო უბნებზე ქვეყნის მასშტაბით დააკვირდნენ.

NDI მსოფლიოს ყველა რეგიონში 250-მდე არჩევნებს დააკვირდა. საქართველოში ინსტიტუტი 1992 წლიდან 11 არჩევნებს დააკვირდა. NDI მადლობას უხდის აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), რომლის მხარდაჭერით განხორციელდა სადამკვირვებლო მისია.